



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის
სახელწოდება

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საჯარო მმართველობა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2024 წლის 16-17 ოქტომბერი

2025 წლის 18 ოქტომბერი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი
დაწესებულების ტიპი	231187168

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი, პროფესორი ფრენკ შტეფენ როთი, ექსელია ბიზნესის სკოლა, ლა როშელი, საფრანგეთი და კაზიმიერას სიმონავიჩუსის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიეტუვა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკატერინა ზაქარაძე, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ელენე გრიგოლია, პროექტის მართვის კონსულტანტი/პროექტების მართვის პროფესიონალი, მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის პროექტის მენეჯერი, ციფრული ტრანსფორმაციისა და ინოვაციების სფეროში, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლიანა ზაგაშვილი, შპს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ზურაბ აზნაურაშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო;

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირება	საჯარო მმართველობა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი/ Bachelor of Business Administration	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი/ Master of Business Administration	საჯარო მმართველობის ბაკალავრი/ Bachelor of Public Administration
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹	6	7	6
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180	120	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)	ახალი	ახალი	ახალი
შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)			

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თესაუ) 1999 წელს დაარსდა ქ. თელავში, საქართველო. ეს არის ახალგაზრდა საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, თუმცა მას ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომელიც მე-18 საუკუნეში იღებს სათავეს, როცა მისი წინამორბედი თეოლოგიური სემინარები დაარსდა.

უნივერსიტეტი ამჟამად შედგება ოთხი ფაკულტეტისგან: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი.

ამჟამად კლასტერში დაჯგუფებულია ამ უკანასკნელი ფაკულტეტის 3 საგანმანათლებლო პროგრამა. კერძოდ, სამწლიანი საბაკალავრო (BA) პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (6 სემესტრი, 180 კრედიტი), ორწლიანი სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (4 სემესტრი, 120 კრედიტი) და ოთხწლიანი საბაკალავრო (BA) პროგრამა საჯარო მმართველობაში (8 სემესტრი, 240 კრედიტი).

ხშირ შემთხვევაში თვითშეფასების ანგარიშში მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოტოვებულია. ანგარიშში ჭარბობს ზოგადი მსჯელობა, მაშინ როცა კონკრეტული მტკიცებულებები და მონაცემები ან საერთოდ არ არის, ან არასისტემურადაა წარმოდგენილი. მაგალითად, თითქმის არ არის მითითებული სრულ განაკვეთზე მომუშავე აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან, რაც გულისხმობს, რომ ხშირად არ არის განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობა ან არასაკმარისად არის განსაზღვრული. გარდა ამისა, უმაღლეს განათლების დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ნათელი მტკიცებულებები აღნიშნული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

თესაუ-ში ვიზიტი 2024 წლის 16 ოქტომბერს, 12:50 საათზე, ადმინისტრაციის უფროსთან და მის მოადგილეებთან შეხვედრით დაიწყო, შემდგომ კი შეხვედრები შედგა თვითშეფასების ჯგუფთან, სამივე პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

შეხვედრები განახლდა 2024 წლის 17 ოქტომბერს, 09:00 საათზე, როდესაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა საჯარო მმართველობის საბაკალავრო და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს. ამის შემდეგ გაიმართა შეხვედრა სამაგისტრო ნამრომების ხელმძღვანელებთან, შემდეგ კი -დამსაქმებლებთან და პოტენციურ კურსდამთავრებულებთან. შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო თესაუ-ს ინფრასტრუქტურას,

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

მათ შორის სასწავლო აუდიტორიებს, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ კლასებს. აღნიშნული შემდეგ შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან გაიმართა, რის შემდგომაც ექსპერტთა ჯგუფმა შემაჯამებელი შეხვედრა გამართა ყველა დაინტერესებულ მხარესთან პირველადი უკუკავშირის მისაწოდებლად. ვიზიტი 15:00 საათზე დასრულდა.

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ეს დოკუმენტი წარმოადგენს თესაუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების (საბაკალავრო, სამაგისტრო) და საჯარო მმართველობის (საბაკალავრო) პროგრამების კლასტერის დეტალურ შეფასებას.

საერთო ჯამში, პროგრამები ძირითადად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს, თუმცა ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობისთვის საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

აქედან გამომდინარე, სამივე პროგრამას შეიძლება მიენიჭოს ხელახალი აკრედიტაცია, იმ პირობით, რომ დროულად გადაჭრიან 4.2 და 4.3 კრიტერიუმებში იდენტიფიცირებულ პრობლემებს.

- რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.3

- რეკომენდებულია რეგულარულად ჩატარდეს სემინარები აკადემიურ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების დახვეწის მიზნით.
- რეკომენდებულია კურსდამთავრებულთა უკუკავშირის მექანიზმების ჩამოყალიბება, რომელიც შეაფასებს სწავლის შედეგების გრძელვადიან გავლენას დასაქმებაზე და კარიერულ განვითარებაზე.
- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგისა და ანალიზის სრულფასოვანი სისტემის შემუშავება, რაც დროთა განმავლობაში პროგრესის თვალის დევნების საშუალებას იძლევა.

კომპონენტი 1.4

- რეკომენდებულია ყველა პროგრამაში მუდმივად აისახოს შესაბამისი სფეროების მიღწევები და ბაზრის მოთხოვნების ცვლილებები.

კომპონენტი 1.5

- რეკომენდებულია შერეული სწავლების მიდგომების გამოყენება ტრადიციული და ციფრული სწავლების მეთოდების კომბინირების მიზნით.
- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალი წახალისება, მათი ჩართვა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში, რათა მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი ინოვაციური სწავლების მეთოდების შესახებ.
- რეკომენდებულია ყველა კურსში თანამედროვე ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებს ხელშეწყობა ინტერაქტიული სწავლის გაუმჯობესების მიზნით.

კომპონენტი 2.4

- რეკომენდებულია პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და რეაგირების წესში ზუსტად და დეტალურად იყოს მითითებული მსგავსების დაშვებული პროცენტი, რომელიც არ უნდა იყოს დამოკიდებული კონკრეტული დარგისა და დეპარტამენტის გადაწყვეტილებაზე. გარდა ამისა, რეკომენდებულია სტუდენტებისა და პერსონალის პერიოდულად ინფორმირება პლაგიატის მნიშვნელობისა და პრევენციის შესახებ.

კომპონენტი 4.1

- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის კვლევის პედეგების ინტერნაციონალურიზაციის ხელშეწყობა და გაძლიერება.

კომპონენტი 4.3

- რეკომენდებულია კვლევითი საქმიანობის წახალისების სისტემის დანერგვა, რომელიც კვლევაში აქტიურად ჩართულ აკადემიურ პერსონალს შესთავაზებს მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელს. ეს საშუალებას მისცემს მათ, თავი აარიდონ სხვა უმაღლეს დაწესებულებაში მუშაობას დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით.

კომპონენტი 5.3.

- რეკომენდებულია პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უშუალო შეფასებად გამოიყენოს კონკრეტული შეფასების კომპონენტი/ქტივობა მესამე დონის (გამყარების დონე) სასწავლო კურსებიდან, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგებს.
- შეფასება და მონიტორინგი: რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა გააუმჯობესოს შეფასების ინსტრუმენტები, განსაკუთრებით შემდეგი მიმართულებებით: 1) მიღწეული სწავლის შედეგები და 2) კვლევა. რაც შეეხება ამ უკანასკნელ სფეროს, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ თესაუ-ს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა სტანდარტზე დაბალია, რაც უარყოფითად აისახება თესაუ-ს, როგორც უმაღლესი განათლებისა და კვლევითი დაწესებულების რეპუტაციაზე, ასევე სასწავლო შინაარსისა და გამოცდილების ხარისხზე. ამ ფონზე, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს ფინანსურად მიმზიდველი კვლევითი წახალისების სისტემის დანერგვას, რაც აკადემიურ პერსონალს მოტივაციას მისცემს ჩაერთოს სამეცნიერო კვლევებში, ნაცვლად იმისა, რომ ცდილობდეს მოიძიოს დამატებითი სამსახური სხვა უნივერსიტეტში სწავლებით, ზოგადად დაბალი ხელფასის შევსების მიზნით.

რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 „ბიზნესის ადმინისტრირება“ (საბაკალავრო პროგრამა)

კომპონენტი 1.2.

- რეკომენდებულია, პროგრამის ერთი სწავლის შედეგის ფორმულირებისას გამოყენებულ იქნას ბლუმის ტაქსონომიის ერთი ან მაქსიმუმ ორი ზმნა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი მიღწევის გაზომვადობა. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები (მინიმუმ მე-8 და მე-9 შედეგი) ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს.

კომპონენტი 1.5

- რეკომენდებულია განახლდეს ლიტერატურა ისეთი კურსებისთვის როგორიცაა "ინოვაციური მენეჯმენტი" და "პროექტის მართვა" საერთაშორისო სტანდარტებთან და აღნიშნული დარგების დინამიკურ მიღწევებთან შესაბამისობის გასაუმჯობესებლად.
- რეკომენდებულია მეტი ინტერდისციპლინური კურსის შემოტანა, რომლებიც ბიზნესის ადმინისტრირებას დააკავშირებს ისეთ განვითარებად სფეროებთან, როგორიცაა ტექნოლოგიების მართვა და მდგრადი განვითარება.
- რეკომენდებულია გაიზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა და მოიცვას თანამედროვე თემები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში, მდგრადი

ბიზნეს პრაქტიკა და სამეწარმეო ეკოსისტემები, რაც გაზრდის პროგრამის ინდივიდუალობასა და შესაბამისობას.

კომპონენტი 2.2.

- რეკომენდებულია სრულად გადაიხედოს და განახლდეს ლიტერატურა ისეთი კურსებში, როგორიცაა "ინოვაციების მენეჯმენტი" და "პროექტის მენეჯმენტი".

კომპონენტი 2.3

- იმის გამო, რომ „ელექტრონული სწავლებისა“ და „ჰიბრიდული სწავლების“ (პირისპირ/დისტანციური) მეთოდები ამჟამად არ გამოიყენება, რეკომენდებულია უნივერსიტეტის მიერ მოხდეს ამ ტერმინების კურიკულუმიდან ამოღება ან ისეთი ტერმინებით შეცვლა, როგორიცაა „ელექტრონული რესურსებით სწავლება“ „ელექტრონული სწავლების“ ნაცვლად.

კომპონენტი 5.3.

- რეკომენდებულია პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სასწავლო კურსების შეფასების რუბრიკაში უზრუნველყოს მითითება თუ როგორ ხდება ჯგუფური პროექტის შემთხვევაში სტუდენტის ინდივიდუალური წვლილის შეფასება.

პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება (სამაგისტრო პროგრამა)

კომპონენტი 1.5

- რეკომენდებულია კურსი "ინოვაციური მენეჯმენტი" არჩევითიდან გადატანილი იქნას სავალდებულო კომპონენტში, რადგან ეს დისციპლინა პირდაპირ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მნიშვნელოვნად გაზრდის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას.
- რეკომენდებულია ძირითადი კურსების სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა და განახლება, რაც ასევე უზრუნველყოფს დიფერენციაციას ბაკალავრიატისა და

მაგისტრატურის დონეებს შორის, სადაც სამაგისტრო პროგრამა გაძლიერებულ და სტრატეგიულ მართვის საკითხებზე მკაფიო აქცენტს აკეთებს.

კომპონენტი 2.2.

- მკაფრად რეკომენდებულია საფუძვლიანად გადაიხედოს და განახლდეს ლიტერატურა ისეთი კურსებში, როგორიცაა "პროექტის მენეჯმენტი" და "მარკეტინგის მენეჯმენტი".

კომპონენტი 2.3

- იმის გამო, რომ „ელექტრონული სწავლებისა“ და „ჰიბრიდული სწავლების“ (პირისპირ/დისტანციური) მეთოდები ამჟამად არ გამოიყენება, რეკომენდებულია უნივერსიტეტის მიერ მოხდეს ამ ტერმინების კურიკულუმიდან ამოღება ან ისეთი ტერმინებით შეცვლა, როგორიცაა „ელექტრონული რესურსებით სწავლება“ „ელექტრონული სწავლების“ ნაცვლად.

კომპონენტი 4.2.

- რეკომენდებულია აკადემიური წერის შიდა რესურსი/პოტენციალის განვითარება, ამგარად შემცირდება სამაგისტრო საფეხურზე მოდულების წაკითხვისა და ხელმძღვანელობისთვის გარედან ლექტორების მოწვევის აუცილებლობა.

კომპონენტი 5.3.

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მაგისტრანტების მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის და სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელების შეფასება.

პროგრამა 3 „საჯარო მმართველობა“ (საბაკალავრო პროგრამა)

კომპონენტი 1.1

- რეკომენდებულია სრულყოფილად ჩამოყალიბდეს პროგრამის მისაღწევი მიზნები.

კომპონენტი 1.5

- წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და ადგილზე ვიზიტმა ნათლად გამოავლინა, რომ „საჯარო მმართველობის“ სილაბუსში მითითებული ლიტერატურის განაწილება არ არის შესაბამისობაში - თითოეული ლექციის ლიტერატურა და გვერდები არ ემთხვევა ლექციის თემებს. ეს ეჭვებეშ აყენებს იმ არსებით ლიტერატურას, რომელიც

- სილაბუსშია მოხსენიებული. შესაბამისად, ეს სილაბუსი საჭიროებს სიღრმისეულ გადახედვასა და რევიზიას, რათა უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობა.
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაში არ არის კურსი „საჯარო გამოსვლა“, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა მომავალი საჯარო მოხელეების პროფესიული საქმიანობისთვის. გარდა ამისა, პროგრამა მკაფიოდ წარმოაჩენს კურსდამთავრებულთა სამუშაო მიმართულებას.

კომპონენტი 5.3.

- რეკომენდებულია პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სასწავლო კურსების შეფასების რუბრიკაში უზრუნველყოს მითითება თუ როგორ ხდება ჯგუფური პროექტის შემთხვევაში სტუდენტის ინდივიდუალური წვლილის შეფასება.

კლასტერის საერთო რჩევები:

კომპონენტი 1.4

- სამივე პროგრამისთვის სასურველია გარე პარტნიორული ურთიერთობებისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და განახლებული აკადემიური ლიტერატურის გამოყენება, და ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი სისტემის დანერგვა, რომელიც ადგენს მკაფიო მიზნებსა და განსაზღვრავს შეფასების გამჭვირვალე შიდა სტანდარტებს. მაგალითად, რეიტინგული აკადემიური ჟურნალებისა და გამომცემლობების გამოყენებით ან საკუთარი ჟურნალების შექმნით და ა.შ.

კომპონენტი 2.2.

- სასურველია საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ბიზნესთან პარტნიორობის გაძლიერება და გაფართოება.
- სასურველია შედგეს გრაფიკი, რომლის მიხედვითაც რეგულარულად განხორციელდება ყველა მემორანდუმის გადახედვა და განახლება, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან და ასახავს დარგში არსებულ საჭიროებებს.
- სასურველია გაძლიერდეს დამსაქმებელთა ჩართულობა და მათგან მიღებული დადებითი უკუკავშირის გამოყენება, რაც შექმნის სტრუქტურირებული თანამშრომლობის შესაძლებლობებს, როგორიცაა მაგალითად დამსაქმებელთა ჩართვა საკონსულტაციო საბჭოებში, მოწვეული ლექტორები და მსგავსი ინიციატივები.

დამსაქმებლების უშუალო ჩართულობა ხელს შეუწყობს მათი შეხედულებების ინტეგრირებას კურიკულუმსა და პრაქტიკულ კომპონენტებში.

კომპონენტი 2.4

- სასურველია უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდ გამოქვეყნდეს ვებგვერდზე, რათა სტუდენტებსა და დაინტერესებულ მხარეებს შეეძლოთ მათი გაცნობა.
- სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გაასაჩივრონ თავიანთი შეფასება. სასურველია, უნივერსიტეტმა სრულად და ზედმიწევნით მიაწოდოს მათ ეს ინფორმაცია.

კომპონენტი 4.1.

- სასურველია სწავლისა და სწავლების სფეროში უწყვეტი ხასიათის ტრენინგების ჩატარება, რომლიც ყურადღებას გაამახვილებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებზე.
- სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა საგრანტო პროექტებში, როგორც საკუთარი კომპეტენციების გაძლიერების, ასევე სტუდენტებისთვის სწავლებისა და კვლევის უახლესი მეთოდებისა და ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით.

კომპონენტი 4.2.

- სასურველია განსაკუთრებით წახალისდეს ის აკადემიური პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობს სამაგისტრო ნაშრომებს, რათა შექმნან და შეინარჩუნონ კვლევითი მიმართულება, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს.

კომპონენტი 4.3

- სასურველია შეიქმნას კვლევითი ხარისხის შეფასების სისტემა, რომლის ფარგლებშიც აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული ყველა მაღალი ხარისხის პუბლიკაცია შეგროვდება სპეციალურ მონაცემთა ბაზაში, საიდანაც ისინი ხელმისაწვდომი იქნება როგორც შემფასებლებისთვის, ასევე მკვლევრებისა და საზოგადოებისთვის.

კომპონენტი 4.4

- სასურველია ბიბლიოთეკის რესურსების შემდგომი გამდიდრება და სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა არსებული ელექტრონული პლატფორმების შესახებ.
- სასურველია გაფართოვდეს წიგნადი ფონდი როგორც ფიზიკური, ისე ელექტრონული ფორმატით (საჯარო მმართველობისა და ბიზნესის მიმართულებებით).

კომპონენტი 4.5

- სასურველია საგრანტო პროგრამების გაძლიერება, რომლებიც ორიენტირებული იქნება საჯარო მმართველობასა და ბიზნესის ადმინისტრირებაზე.

• რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

პროგრამა 1 „ბიზნესის ადმინისტრირება“ (ბაკალავრიატი)

კომპონენტი 1.3

- სასურველია შეიმუშაოთ უფრო სრულყოფილი რუბრიკა ისეთი რბილი უნარების შესაფასებლად, როგორებიცაა ლიდერობა, კომუნიკაცია და გუნდური მუშაობა ჯგუფურ პროექტებსა და პრეზენტაციებში.
- სასურველია რეგულარულად განახლდეს საგნის სილაბუსები ბიზნეს კვლევისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევების ასახვის მიზნით.
- სასურველია გაძლიერდეს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობას, პერიოდული მიმოხილვებისა და დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების გზით.
- სასურველია დაემატოს „ჯგუფური მუშაობის“ შეფასების კრიტერიუმები, რადგან ამჟამად არ არსებობს მექანიზმი სტუდენტების ჯგუფური საქმიანობის შესაფასებლად. როგორ ფასდება თითოეული სტუდენტი? როგორ ხდება იმ სტუდენტის იდენტიფიცირება, რომელიც ნაკლებად არის ჩართული სამუშაო პროცესში? ამის დაკონკრეტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა თავიდან იქნას აცილებული მომავალი გაუგებრობები და სტუდენტმა ან პედაგოგმა შეძლოს საკუთარი პოზიციის დასაბუთება აპელაციის შემთხვევაში.

კომპონენტი 1.4

- სასურველია გაიზარდოს ტექნოლოგიურად გაუმჯობესებული სწავლის ინსტრუმენტების გამოყენება, მაგალითად სიმულაციური პროგრამული უზრუნველყოფა და ვირტუალური ბიზნეს- თამაშები, რაც პრაქტიკულ გამოცდილებას უზრუნველყოფს.
- სასურველია ინტერდისციპლინურ სწავლების ხელშეწყობა ბიზნესისა და საჯარო მმართველობის პროგრამებს შორის ერთობლივი კურსების შეთავაზებით.

- სასურველია დარგის პრაქტიკოსების მიერ ჩატარებული ლექციებისა და ვოქშოფების დამატება თეორიისა და პრაქტიკის დასაახლოებლად.
- სასურველია ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესებთან ერთობლივ პროექტებში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის წახალისება ექსპერიმენტული სწავლების ხელშეწყობის მიზნით.

- სასურველია დაემატოს „ჯგუფური მუშაობის“ შეფასების კრიტერიუმები, რადგან ამჟამად არ არსებობს მექანიზმი სტუდენტების ჯგუფური საქმიანობის შესაფასებლად. როგორ ფასდება თითოეული სტუდენტი? როგორ ხდება იმ სტუდენტის იდენტიფიცირება, რომელიც ნაკლებად არის ჩართული სამუშაო პროცესში? ამის დაკონკრეტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა თავიდან იქნას აცილებული მომავალი გაუგებრობები და სტუდენტმა ან პედაგოგმა შეძლოს საკუთარი პოზიციის დასაბუთება აპელაციის შემთხვევაში.

კომპონენტი 1.5

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა არჩევითი კომპონენტის სახით გვთავაზობს "საბაკალავრო ნაშრომს". დარგობრივი სტანდარტის თანახმად, კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეიმუშავებს და წარადგენს კვლევაზე დაფუძნებულ პრაქტიკულ პროექტს. პროგრამა მოიცავს კურსს „პროექტის მენეჯმენტი“, რომელშიც შეიძლება შედიოდეს დამატებითი კვლევითი სამუშაო.
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება პარტნიორ უნივერსიტეტებთან ორმაგი ხარისხის შესაძლებლობებისა და საერთაშორისო ბიზნეს სიმულაციების დამატებით.

კომპონენტი 4.1

- სასურველია გაიზარდოს შესაბამისი დარგის დოქტორის ან მაგისტრის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობა და გაუმჯობესდეს ძირითადი სწავლის სფეროს კურსებისა და კომპონენტების სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის შემადგენლობა.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა)

კომპონენტი 1.3

- სასურველია გაძლიერდეს პროექტზე დაფუძნებული შეფასებების გამოყენება, რომლებიც მოდელირებას გაუკეთებენ კომპლექსურ, მულტი-დისციპლინურ ბიზნეს სცენარებს.
- სასურველია დაინერგოს კოლეგიალური შეფასების სისტემა ჯგუფური პროექტებისთვის, რათა გაიზარდოს პასუხისმგებლობა და კონსტრუქციული უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა.
- სასურველია რეაულარულად ჩატარდეს სამუშაო შეხვედრები ფაკულტეტის წევრებთან, სწავლის შედეგების შეფასების ინოვაციური მეთოდების შემუშავების მიზნით.

კომპონენტი 1.4

- სასურველია პროგრამაში სპეციალიზებული მიმართულებების შემოღება - „ინოვაციების მენეჯმენტი“, „გლობალური მიწოდების ჯაჭვი“ და „ციფრული ტრანსფორმაცია“, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს მიიღონ ვიწრო სფეროს ცოდნა.
- სასურველია კვლევაზე დაფუძნებული მეტი კურსების დამატება, რაც წაახალისებს სტუდენტებს გაეცნონ უახლეს აკადემიურ და დარგობრივ მიგნებებს.
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება პარტნიორ უნივერსიტეტებთან ორმაგი ხარისხის შესაძლებლობებისა და საერთაშორისო ბიზნეს სიმულაციების დამატებით.
- სასურველია დაემატოს „ჯგუფური მუშაობის“ შეფასების კრიტერიუმები, რადგან ამჟამად არ არსებობს მექანიზმი სტუდენტების ჯგუფური საქმიანობის შესაფასებლად. როგორ ფასდება თითოეული სტუდენტი? როგორ ხდება იმ სტუდენტის იდენტიფიცირება, რომელიც ნაკლებად არის ჩართული სამუშაო პროცესში? ამის დაკონკრეტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა თავიდან იქნას აცილებული მომავალი გაუგებრობები და სტუდენტმა ან პედაგოგმა შეძლოს საკუთარი პოზიციის დასაბუთება აპელაციის შემთხვევაში.

კომპონენტი 1.5

- სასურველია რეალური გამოწვევების იმიტაციისთვის გამოიყენოთ რთული სიმულაციური პროგრამული უზრუნველყოფა ისეთი კურსებისთვის, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი და ფინანსური მოდელირება.
- სასურველია ლიდერობის განვითარების სამუშაო შეხვედრებისა და როლური სავარჯიშოების შემოღება მენეჯერული კომპეტენციების გასაძლიერებლად.
- სასურველია წახალისდეს ინტერდისციპლინური თანამშრომლობა, რაც გულისხმობს პროექტების ინტეგრირებას სხვა სამაგისტრო პროგრამებში, როგორიცაა მაგ. „საჯარო მმართველობა“ ან „მონაცემთა მეცნიერება“.

კომპონენტი 3.2.

- სასურველია სტუდენტებმა სამაგისტრო ნაშრომში გამოიყენონ მეტი წყარო, რაც გაზრდის ნაშრომის აკადემიურ ხარისხს და გახდის მას მრავალფეროვანს.

პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი);

კომპონენტი 1.1

- სასურველია პროგრამის მიზნებში უფრო მკაფიოდ გაიწეროს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი.

კომპონენტი 1.3

- სასურველია სრულყოფილი შეფასების ინსტრუმენტები შემუშავება, რომლებიც გაზომავს ეთიკურ მსჯელობასა და პასუხისმგებლობის გრძნობას მმართველობის პროცესში.
- სასურველია დაამატოთ კურსის დასკვნითი პროექტები, სადაც სტუდენტები წარმოადგენენ საჯარო ადმინისტრირების მიმდინარე საკითხების პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს.
- სასურველია რეგულარულად მოხდეს სწავლის შედეგების გადახედვა და განახლება, რაშიც აისახება საჯარო მმართველობის თანამედროვე გამოწვევები და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი.

კომპონენტი 1.4

- სასურველია ისეთი კურსების შემოღება, რომლებიც ეხება საჯარო მმართველობაში წარმოქმნილ გამოწვევებს, როგორიცაა ციფრული მმართველობა, საჯარო-კერძო პარტნიორობა და მდგრადობა საჯარო პოლიტიკაში.
- სასურველია პროგრამის საერთაშორისო ფოკუსის გაძლიერება გლობალური საჯარო ადმინისტრირების ტენდენციების კურსებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დამატებით.

- სასურველია დამატებითი არჩევითი კურსების შეთავაზება, რომლებიც მორგებული იქნება მმართველობის კონკრეტულ საკითხებზე, როგორიცაა ურბანული დაგეგმარება, კრიზისების მართვა და ელექტრონული მმართველობა.

კომპონენტი 1.5

- სასურველია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების აქტივობების დანერგვა, სადაც სტუდენტები იმუშავებენ რეალურ პოლიტიკურ გამოწვევებზე ადგილობრივ ხელისუფლებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.
- სასურველია გაიზარდოს როლური თამაშებისა და სიმულაციური სავარჯიშოების გამოყენება ისეთ კურსებში, როგორიცაა „პოლიტიკის ანალიზი“ და „საჯარო ფინანსები“, რათა სტუდენტს განუვითაროთ გადაწყვეტილების მიღების უნარი.
- სასურველია დამყარდეს პარტიიონობა სამთავრობო უწყებებთან სტუდენტებისთვის სტაჟირებისა და პრაქტიკული მომზადების მეტი შესაძლებლობის შესაქმნელად.

კომპონენტი 4.1

- სასურველია გაიზარდოს შესაბამისი დარგის დოქტორის ან მაგისტრის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობა და გაუმჯობესდეს მირითადი სწავლის სფეროს კურსებისა და კომპონენტების სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის შემადგენლობა.

• საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

სტრუქტურირებული სტაჟირების სქემა: პროგრამებს დამყარებული აქვთ მჭიდრო თანამშრომლობა საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებთან, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება სტაჟირებისა და დროებითი დასაქმების გზით. თესაუს გაფორმებული აქვს ურთიერთგაგების მემორანდუმები შესაბამის პარტიიონებთან, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს პრაქტიკაში გამოიყენონ უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა.

სტუდენტთა მხარდამჭერი გარემო: როგორც კურსდამთავრებულებმა, ისე სტუდენტებმა რამდენჯერმე და გულწრფელად გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება, რომ ნამდვილად მხარდამჭერია მათი სასწავლო გარემო.

• ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია და ამოიღო ზოგიერთი რეკომენდაცია ან გადაიტანა რჩევებში.

. ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა მიღწევები და გაუმჯობესების სფეროები. კერძოდა:

- კარიერული განვითარების ცენტრის შექმნა, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტებს, აწვდის ინფორმაციას სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.
- დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობების გაღრმავება როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი თვალსაზრისით.
- სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შენარჩუნება და შემდგომი გაუმჯობესება, მათ შორისაა აკადემიურ კონსულტაციები, კარიერული კონსულტაციები და თვითმმართველობასთან დაკავშირებული რესურსები.
- გადაიდგა მნიშვნელოვანი პირველი და შუალედური ნაბიჯები ნამდვილი ინტერნაციონალიზაციისკენ სწავლების მიმართულებით, თუმცა კვლევის თვალსაზრისით ეს პროცესი ნაკლებად არის განვითარებული.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიღგომები:

აკრედიტაციის

სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიღგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება³
2. კლასტერული შეფასება⁴

სტანდარტის კომპონენტი:	შეფასების მიღგომები:
1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური

³ შეფასების მიღგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁴ შეფასების მიღგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული ინდივიდუალური	და
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული	
1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული ინდივიდუალური	და
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული ინდივიდუალური	და
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების აღეკვატურობა		
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული ინდივიდუალური	და
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული	
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული	
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული	
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული ინდივიდუალური	და
4.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	კლასტერული ინდივიდუალური	და
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული	
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული ინდივიდუალური	და
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული ინდივიდუალური	და
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული	
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული	

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ადგილზე ვიზიტისა და გასაუბრების დროს დადგინდა, რომ თელავის უნივერსიტეტის მიერ კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტებულია შემდეგნაირად: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა და საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2012 წლის 2 აგვისტოს #302 გადაწყვეტილებით.
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2012 წლის 12 მარტს #38 გადაწყვეტილებით.
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 18 ნოემბრის #314 გადაწყვეტილებით.

ჩვენ წარმოგვიდგინეს ამ პერიოდში პროგრამებში განხორციელებული რამდენიმე ცვლილება. კერძოდ:

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა - 120 კრედიტი (2 წელი);
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა - 180 კრედიტი (3 წელი);
- საჯარო მმართველობის პროგრამა - 240 კრედიტი (4 წელი).

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯვაფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სტუდენტი საჯარო მმართველობისა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის.

შესაბამისად, სპეციალობის დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, პროგრამა მიზნად ისახავს:

- სტუდენტის ფართო ცოდნა მიაწოდოს: საჯარო მმართველობისა და ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და ღირებულებების, დაწესებულების რესურსებისა და საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, ხელმძღვანელობისა და ანგარიშგება-პასუხისმგებლობის შესახებ; დარგის განვითარებისა და მართვის პროცესის ინსტრუმენტების შესახებ, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე; საჯარო მმართველობის სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ; საჯარო მმართველობის ინსტიტუციური, სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლებისა და საქმიანობის ფორმების, ასევე შედეგზე ორიენტირებული მექანიზმების შესახებ.
- სტუდენტმა უნდა შეძლოს: საჯარო მმართველობასა და ბიზნესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და პრობლემის გადაჭრის შესაბამისი გზების შემუშავება თვისებრივი/რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით; საჭირო ინფორმაციის მოძიება, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი; სამეცნიერო/პრაქტიკული სამუშაოს გაანალიზება, დაგეგმვა და განხორციელება აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების, ასევე დროის სწორი განაწილების გათვალისწინებით; ანგარიშების/დოკუმენტების შემუშავება და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება ზეპირი ან წერილობითი ფორმით.
- კურსდამთავრებული უნდა იყოს ორიენტირებული ეთიკური და პროფესიული ღირებულებების დაცვაზე, პრობლემების გადაჭრისას ითვალისწინებდეს დემოკრატიულ ღირებულებებს, წესრიგსა და ადამიანის უფლებებს; იყოს ორიენტირებული საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე, იცავდეს გუნდური მუშაობის პრინციპებს.

თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ კლასტერში გაერთიანებულ საჯარო მმართველობის საბაკალავრო, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებს აქვთ გამოკვეთილი მიზნები და სწავლის შედეგები.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ცალკეული კომპონენტი შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მოთხოვნების შესაბამისად. კლასტერში დაჯგუფებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამები მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მოთხოვნებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია. ისინი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე [www.https://tesau.edu.ge/](https://tesau.edu.ge/) და საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში.

პროგრამის მიზნები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს რასაც იძენს სტუდენტი პროგრამის მიერ განსაზღვრული სხვადასხვა აქტივობებით.

წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების ანალიზს, თვითშეფასების ანგარიშს და სწავლის შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიებსა და მექანიზმებს, რაც ნათლად მიუთითებს მის მდგრადობაზე.

თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამის გარკვეული კომპონენტები საჭიროებს გადახედვას კვალიფიკაციების ჩარჩოს, დარგობრივი მახასიათებლების და სამიზნე ნიშნულების თვალსაზრისით, იქნება ეს საგანმანათლებლო კომპონენტების პრაქტიკული ნაწილი თუ სასწავლო პრაქტიკის ობიექტების მრავალფეროვნება.

კლასტერში წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს განათლების საბაზისო საფეხურს. ამიტომ, პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტების აღჭურვა ყველა იმ კომპეტენციითა და ცოდნით, რომელიც საჭიროა მაღალი კვალიფიკაციისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ადგილზე ვიზიტი ადასტურებს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა აღწერს სწავლის წინაპირობებს, სწავლის შედეგებს, შეფასების სისტემას, სასწავლო გეგმასა და სხვ.

თუმცა, პროგრამის "სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებში" გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

გარდა ამისა „პლაგიატის აღმოჩენის და რეაგირების წესში“ არ არის მითითებული მსგავსების მაქსიმალური ზღვარი. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის კითხვაზე ამ საკითხთან დაკავშირებით გაცემული პასუხი ბუნდოვანი იყო; აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა დეპარტამენტი თავად განსაზღვრავს ამ ზღვარს საკუთარი შეხედულებისამებრ. თუმცა, პლაგიატის გამოვლენის წესები უნდა იყოს ერთიანი და აუცილებელია, დადგინდეს სტანდარტი როგორც უნივერსიტეტის, ისე ფაკულტეტის დონეზე. მაგალითად, საბაკალავრო დონეზე მსგავსების მაქსიმალური ზღვარი შეიძლება განისაზღვროს 10%, 12% ან სხვა პროცენტით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია. ისინი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე [www.https://tesau.edu.ge/](https://tesau.edu.ge/) და საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში.

პროგრამის მიზნები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის მიერ განსაზღვრული სხვადასხვა აქტივობებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ჩატარებული გასაუბრებისს საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილება. კერძოდ, არანაკლებ ბაკალავრის ხარისხის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის ფლობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება და უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული შიდა გამოცდის ჩაბარება "ბიზნესის ადმინისტრირებაში" და და უცხო ენაში (ინგლისური ენა B2 დონეზე). თუმცა, შესაბამის სფეროში ცოდნის ნაკლებობამ შეიძლება გამოწვევები შექმნას კონკრეტული საგნების შემდგომი სწავლებისა და ათვისებისთვის. მაგალითად, სტუდენტს, რომელსაც აქვს ბაკალავრის ხარისხი ფილოლოგიაში ან სხვა ჰუმანიტარულ დარგში, შეიძლება გაუჭირდეს ისეთი საგნების ათვისება, როგორიცაა ბიზნეს სტატისტიკა, სტრატეგიული მენეჯმენტი და სხვა საგნები ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განხილული იქნეს გზები, რომლებიც სტუდენტებს ამ გამოწვევების დაძლევაში დაეხმარება.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებოა სწავლების ისეთი მეთოდების გადახედვა, როგორიცაა:

- ჯგუფური მუშაობა, რომელიც გულისხმობს სტუდენტების ჯგუფებად დაყოფას და მათვის სასწავლო დავალებების მიცემას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვესმის, რომ ჯგუფური მუშაობა მნიშვნელოვანია სტუდენტებში სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის, აյ არ არის წარმოდგენილი სტუდენტების ჯგუფური მუშაობის შეფასების მექანიზმი. როგორ ფასდება თითოეული სტუდენტი? როგორ ხდება იმ სტუდენტის იდენტიფიცირება, რომელიც ნაკლებად არის ჩართული სამუშაო პროცესში? ამის დაკონკრეტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა თავიდან იქნას აცილებული მომავალი გაუგებრობები და სტუდენტმა ან პედაგოგმა შეძლოს საკუთარი პოზიციის დასაბუთება აპელაციის შემთხვევაშიჯგუფური მუშაობის შეფასებასთან მიმართებაში, უნივერსიტეტის წარმომადგენლების პასუხები ადგილზე ჩატარებული გასაუბრების დროს გარკვეულწილად ბუნდოვანი იყო, და ამის შედეგად, გაიცა რეკომენდაცია ამ ტიპის შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. თუმცა, უნივერსიტეტის დაუსაბუთებელი პასუხის შემდეგ, რეკომენდაცია ჩამოყალიბდა როგორც რჩევა.

ამასთანავე, პლაგიატის აღმოჩენის და რეაგირების წესში" არ არის მითითებული მსგავსების მაქსიმალური ზღვარი. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის შეკითხვაზე ამ საკითხთან დაკავშირებით გაცემული პასუხი ბუნდოვანი იყო; აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა დეპარტამენტი თავად განსაზღვრავს ამ ზღვარს საკუთარი შეხედულებისამებრ. თუმცა, პლაგიატის გამოვლენის წესები უნდა იყოს ერთიანი და აუცილებელია დადგინდეს სტანდარტი, როგორც უნივერსიტეტის, ისე ფაკულტეტის დონეზე. მაგალითად, საბაკალავრო დონეზე მსგავსების მაქსიმალური ზღვარი შეიძლება განისაზღვროს 10%, 12% ან სხვა პროცენტით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, საბაკალავრო პროგრამა) [1]

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის (BA) მიზნები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე [www.https://tesau.edu.ge/](https://tesau.edu.ge/) საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და ბიბლიოთეკაში. პროგრამის მიზნები განსაზღვრავს კვალიფიციური

სპეციალისტის (საჯარო მმართველობის ბაკალავრი, მე-6 დონე) ჩამოყალიბებას პროგრამის შესაბამისად. ეს მიზნები კონკრეტულად საჯარო მმართველობისთვის არის შემუშავებული და სრულად შეესაბამება საბაკალავრო დონის საგანმანათლებლო მოთხოვნებს. პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულების მიერ შეძენილი ან განვითარებული კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე, ასევე სამაგისტრო დონეზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, საჯარო მმართველობის პროგრამას არ გააჩნია სრულად ჩამოყალიბებული სამიზნე მაჩვენებლები (%), რაც საშუალებას მოგვცემდა, როგორც ექსპერტებს, დაგვენახა ის პროცენტული გადახრები, რომლებიც პროგრამის ხელმძღვანელებს წინასწარ ჰქონდათ გათვალისწინებული.

თუმცა, შეიძლება გამოიყოს ერთი საკითხი, კერძოდ, პროგრამის მიზნებში მკაფიოდ არ არის გამოხატული ინტერნაციონალიზაციის კომპონენტები. რადგან, როდესაც ვსაუბრობთ თანამედროვე და კვალიფიციური საჯარო მოხელის ჩამოყალიბებაზე, ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთი საკვანძო ელემენტია - საერთაშორისო პრაქტიკისა და თანამშრომლობის გარეშე, საჯარო მოხელეს არ ექნება შესაძლებლობა, ფეხი აუწყოს თანამედროვე ტენდენციებს, გადაჭრას პრობლემები და დარჩეს კონკურენტუნარიანი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრებები დაწესებულებაში ვიზიტის დროს
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- წარმოდგენილი დოკუმენტაცია
- თესაუ-ის მისია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება – საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი);

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სრულყოფილად ჩამოყალიბდეს მიზნობრივი ამოცანები.

რჩევები: -

- სასურველია პროგრამის მიზნებში უფრო მკაფიოდ გაიწეროს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
პროგრამა 1 (დასახელება, დონე)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (დასახელება, დონე)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (დასახელება, დონე)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯვაუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ჩარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ კლასტერში გაერთიანებული პროგრამების (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა) შეესაბამება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიასა და მიზნებს.

თუმცა, მხოლოდ უნივერსიტეტის მიზნებთან და მისიასთან შესაბამისობა ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ აკადემიური ხარისხის მისაღებად საჭირო კვალიფიკაციების შეძენას.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად არა ერთი თხოვნისა, ექსპერტთა ჯვალმა დოკუმენტაციის მხოლოდ ნაწილი მიიღო. ეს დოკუმენტაცია აუცილებელი იყო საკითხის სრულად გაგების და ზუსტი შეფასების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ნამდვილად ხარვეზს წარმოადგენს.

ჩარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე გასაუბრების საფუძველზე აშკარა გახდა, რომ პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავება განხორციელდა ერთობლივად, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით. ამ თანამშრომლობითმა პროცესმა ხელი შეუწყო შედეგების პერიოდულ პრეზენტაციას და მათ განხილვას დაინტერესებულ მხარეებთან.

თუმცა, პირისპირ გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის თანახმად, პროგრამების მდგრადობისთვის აუცილებელია რეალურად დაინტერესებული მხარეების მეტი ჩართულობა. პროგრამის შედეგების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის ჩართულობის გაზრდა. ასეთი ფართო ჩართულობა ხელს შეუწყობს უფრო მყარი ჩარჩოს შექმნას, რათა საგანმანათლებლო მიზნები მაქსიმალურად შეესაბამებოდეს ინდუსტრიის საჭიროებებსა და მოლოდინებს.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი) [1]

ჩარმოდგენილი პროგრამისა და თვითშეფასების მიხედვით, პროგრამის შედეგებია:

ცოდნა და გაცნობიერება

- აღწერს ბიზნეს სუბიექტების ფუნქციონირებაზე მოქმედ შიდა და გარე ფაქტორებს, კომპანიის განვითარების ძირითად მიმართულებებს და სტრატეგიის ძირითად ინსტრუმენტებს; აღწერს ორგანიზაციაში მართვის ძირითად ელემენტებს; მენეჯმენტის ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს, ისევე როგორც მენეჯმენტისა და მენეჯერის ფუნქციებს და მის პასუხისმგებლობას;
- განიხილავს მარკეტინგულ სტრატეგიებსა და პოლიტიკას, ახდენს სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების და დამუშავების მეთოდების შერჩევას, იკვლევს მოთხოვნისა და მიწოდენის კანონებს, მაკროეკონომიკის მირითად მახასიათებლებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს.

უნარი

- განსაზღვრავს პროექტების მართვასა და სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებულ პრობლემებს და შეიმუშავებს არსებული საკითხების გადაჭრის გზებს.
- ახდენს კომპანიის საქმიანობისას წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებას, და წარმოადგენს მათი გადაჭრის ალტერნატიულ მეთოდებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

გუნდში ლიდერობის და/ან თანამშრომლობის პრინციპების გათვალისწინებით მოქმედებისას, პატივს სცემს და იცავს ორგანიზაციის სოციალურ პასუხისმგებლობას და ბიზნეს ეთიკის სტანდარტებს. ამის საფუძველზე, საჭიროების შესაბამისად, ადგენს პირადი სწავლისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო სამოქმედო გეგმას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მე-8 და მე-9 სწავლის შედეგში გაერთიანებულია ბევრი შედეგი და გამოყენებულია ბევრი ზმნა. ფაქტობრივად, რამდენიმე სწავლის შედეგი გაერთიანებულია ერთ აბზაცში, როგორც ერთი სწავლის შედეგი. შეუძლებელი ხდება ამ კონკრეტული შედეგის მიღწევის გაზომვა. რეკომენდებულია, პროგრამის ერთი სწავლის შედეგის ფორმულირებისას გამოყენებულ იქნას ბლუმის ტაქსონომიის ერთი ან მაქსიმუმ ორი ზმნა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი მიღწევის გაზომვადობა. იგივე რეკომენდაციას იძლევა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის სახელმძღვანელო. ადგილზე ვიზიტისას განხორციელებული გასაუბრების დროს პროგრამის ხელმძღვანელები და დეპარტამენტის უფროსები დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფის ამ მოსაზრებას. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები (მინიმუმ მე-8 და მე-9 შედეგი) ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა)

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამისა და თვითშეფასების მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგებია:

ცოდნა და გაცნობიერება

- სიღრმისეულად აღწერს ბიზნეს მენეჯმენტის თეორიებს, ადამიანური რესურსებს სტრატეგიულ მართვას, ლიდერობის ინსტრუმენტებს, ბიზნესპროცესებსა და მათ ფუნქციებს.
- იკვლევს ბიზნეს სექტორში არსებულ კორპორატიულ ტენდენციებს და შეიმუშავებს მენეჯერული გადაწყვეტილებების ალტერნატიულ ვარიანტებს.

უნარი

- სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზისა და კვლევის საფუძველზე აფასებს ბიზნეს პროცესებს, ინოვაციური პროდუქტის იდეებს და აყალიბებს ბიზნესის განვითარების ახალ მოდელს.
- მულტიდისციპლინურ გარემოში დამოუკიდებლად ამზადებს ბიზნეს პროცესების რეორგანიზებისა და ბიზნესის განვითარების მარკეტინგულ გეგმას, აფასებს ბიზნეს გარემოს, შეიმუშავებს ბიზნესის განვითარების პროექტს, ადასტურებს მის აუცილებლობას და სარგებლობას და წარუდგენს დაინტერესებულ პირებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- პატივს სცემს ბიზნეს სფეროში არსებულ მულტიკულტურულ ღირებულებებს, აცნობიერებს საკუთარ და სხვის შესაძლებლობებს და ხელს უწყობს როგორც პიროვნულ, ისე სხვების პროფესიულ განვითარებას.
- გუნდში, თანამშრომლობის პრინციპების გათვალისწინებით, ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას როგორც გუნდის წევრებთან, ასევე ხელმძღვანელებთან და კოლეგებთან.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პირისპირ ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამა შეესაბამება დასახულ მიზნებს და მოიცავს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ძირითად კომპონენტებს: ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას. წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური და გაზომვადია. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს სწავლის სფეროს თავისებურებებს და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი პერიოდულად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, საბაკალავრო პროგრამა)

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს მექანიზმების (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი). ასევე, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პირისპირ ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამა შეესაბამება დასახულ მიზნებს და მოიცავს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ძირითად კომპონენტებს: ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას. წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური და გაზომვადია. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს სწავლის სფეროს თავისებურებებს და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მნიშვნელოვანია

აღინიშნოს, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი პერიოდულად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:

- განიხილავს საჯარო მმართველობის თეორიულ და კონცეპტუალურ საფუძვლებს: საჯარო მმართველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, სახელმწიფო მართვისა და საჯარო სამსახურის სისტემების მახასიათებლებს, ასევე ფუნდამენტურ პრინციპებსა და მეთოდებს.
- განმარტავს თანამედროვე საჯარო მმართველობის ინსტიტუციურ, ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ სტრუქტურებს; განსაზღვრავს სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ პრინციპებს, რომლებიც არეგულირებს ურთიერთობას ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის; და ზოგადად განიხილავს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ მირითად ცნებებსა და დებულებებს.
- აღწერს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ გარემოს და მიმდინარე პროცესებს; განსაზღვრავს საჯარო მმართველობის პროცესში ჩართულ ძირითად აქტორებს, მათ შორის ინტერესთა ჯგუფებს.
- განმარტავს ხარისხიანი საჯარო სერვისების მიწოდების მნიშვნელობას, ანგარიშვალდებული და ეფექტური მმართველობის განხორციელების მნიშვნელობას, ასევე საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვის მნიშვნელობას თანამედროვე, წარმატებული საჯარო სამსახურის ფუნქციონირებისთვის.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პირისპირ ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამა შეესაბამება დასახულ მიზნებს და მოიცავს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ძირითად კომპონენტებს: ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას. წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური და გაზომვადია. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს სწავლის სფეროს თავისებურებებს და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი პერიოდულად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები დაწესებულებაში ვიზიტის დროს
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- წარმოდგენილი დოკუმენტაცია

- თესაუ-ს მისია;
 - TESAU საიტი <https://tesau.edu.ge/>
-

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის ერთი სწავლის შედეგის ფორმულირებისას გამოყენებულ იქნას ბლუმის ტაქსონომიის ერთი ან მაქსიმუმ ორი ზმნა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი მიღწევის გაზომვადობა. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები (მინიმუმ მე-8 და მე-9 შედეგი) ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი);

რეკომენდაციები:

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი);	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა იყენებს შეფასების ყოვლისმომცველ და სისტემურ მექანიზმს სწავლის შედეგების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. ეს მექანიზმი აერთიანებს აკადემიური მოსწრების უწყვეტ მონიტორინგს, დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და დარგის პარტნიორების) უკუკავშირს და მონაცემთა ანალიზს პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის შესანარჩუნებლად. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, პერიოდული შეფასებებით, რომლებიც შეესაბამება დარგის აკადემიურ და პროფესიულ მახასიათებლებს.

პროგრამა თითოეული სწავლის შედეგისთვის ადგენს კრიტერიუმებს და რეგულარულად ხდება შედეგების მონიტორინგი და შედარება ამ კრიტერიუმებთან. საბაზისო და გაღრმავებულ კურსებში აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე ვლინდება გარკვეული ტენდენციები და, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება ცვლილებები, რაც აძლიერებს სასწავლო პროცესს. სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოკითხვები აგროვებს

უკუკავშირს სასწავლო კურსის შინაარსზე, სწავლების მეთოდებსა და ზოგად სასწავლო გამოცდილებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას.

დამსაქმებელთა უკუკავშირს მნიშვნელოვანი როლი აკისრია სასწავლო პროგრამის განახლებაში, განსაკუთრებით არჩევითი კურსებისთვის, რომლებიც ასახავს ბიზნეს სამყაროში არსებულ ახალ ტენდენციებს. მაგალითად, თუ დამსაქმებლები მიუთითებენ ციფრული მარკეტინგის უნარების მზარდ საჭიროებაზე, შესაძლებელია შესაბამისი კურსების შემოღება ან განახლება. ეს შეფასებები უზრუნველყოფს სტუდენტებს არა მხოლოდ აკადემიური ცოდნით, არამედ დასაქმებისთვის შესაფერისი პრაქტიკული უნარებით.

ამ შეფასების სისტემის მხარდასაჭრად, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს უტარდებათ ტრენინგები სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებში. უსდ უზრუნველყოფს პერსონალს რესურსებითა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებით ამ შედეგების ეფექტურად შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის. ამასთან, დაინტერესებული მხარეები, მათ შორის სტუდენტები და დამსაქმებლები, ეცნობიან სწავლის შედეგების შეფასებების ანალიზს, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობას და თანამშრომლობას პროგრამის განვითარებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს შეფასების მძლავრ და მრავალმხრივ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. შეფასების პროცესი არის გამჭვირვალე და პერიოდული, რაც ასახავს პროგრამის მაღალ დონესა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს დამახასიათებელ თვისებებს. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება განსაზღვრულ ინტერვალებში, თითოეული შედეგისთვის დადგენილი კონკრეტული კრიტერიუმით. შედეგების მონიტორინგი და ანალიზი ხდება სასწავლო პროგრამისა და სწავლების გაუმჯობესების მიზნით.

უწყვეტი აკადემიური შეფასება წარმოადგენს შეფასების მექანიზმის ქვაკუთხედს, სადაც ხდება თითოეულ კურსში სტუდენტთა მოსწრების დაკვირვება და ანალიზი. ხდება მაღალი მოსწრების მქონე და გამოწვევების წინაშე მდგარი სტუდენტების იდენტიფიცირება, რაც სამუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალს გაითვალისწინოს კონკრეტული საჭიროებები ან საჭიროებისამებრ შეიტანოს ცვლილებები სასწავლო პროგრამის კომპონენტებში. პროგრამა აგროვებს სტრუქტურირებულ უკუკავშირს სტუდენტებისგან, აკადემიური პერსონალისა და დარგის პარტნიორებისგან, რაც განაპირობებს გადაწყვეტილებებს სასწავლო პროგრამის განახლების შესახებ და უნარჩუნებს მას აქტუალობასა და სიზუსტეს.

დამსაქმებელთა უკუკავშირი ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია, რაც რეალურ წარმოდგენას იძლევა კურსდამთავრებულთა კომპეტენციებზე. დამსაქმებლების გამოკითხვა ტარდება ყოველწლიურად იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კარგად ამზადებს პროგრამა სტუდენტებს დარგში არსებული მოთხოვნებისთვის. სწავლის შედეგებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის ადაპტირებას ბიზნესის განვითარებად ტენდენციებთან და მის კონკრენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია სათანადო მომზადება და რესურსები იმისთვის, რომ ეფექტურად გაზომოს და გააანალიზოს სწავლის შედეგები. უდს უზრუნველყოფს თავისი

პერსონალის იმ უნარების განვითარებას, რომლების საჭიროა საგანმანათლებლო კომპონენტების შემუშავებისა და შეფასებისთვის. დაინტერესებული მხარეები, მათ შორის სტუდენტები და დარგის წარმომადგენლები, რეგულარულად იღებენ ინფორმაციას ამ შეფასებების შედეგების შესახებ, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს შესაბამისობას საგანმანათლებლო და პროფესიულ სტანდარტებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, საბაკალავრო პროგრამა)

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა ხაზს უსვამს როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელ შეფასებებს, რაც უზრუნველყოს სტუდენტების მიერ პროგრამის მკაცრი სასწავლო სტანდარტების დაკმაყოფილებას. შეფასების მექანიზმი თანმიმდევრული და გამჭვირვალეა, რაც ასახავს საჯარო მმართველობის, როგორც დარგის, სპეციფიკას. სწავლის შედეგების შეფასება ხდება პერიოდულად, თითოეული შედეგისთვის დადგენილი კრიტერიუმით. ეს კრიტერიუმები აფასებს სასწავლო მიზნების მიღწევას და ხელს უწყობს სასწავლო პროგრამის განვითარებას.

აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება უწყვეტი შეფასებების მეთოდით, მათ შორის საკურსო ნაშრომის, გამოცდებისა და პროექტების საშუალებით. აკადემიური პერსონალი რეგულარულად განიხილავს ამ შეფასებებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და საჯარო მმართველობის პრაქტიკოსების უკუკავშირის გაანალიზებით ხდება სასწავლო პროგრამის აქტუალობის შენარჩუნება და მისი ეროვნულ და რეგიონულ სამთავრობო საჭიროებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

დამსაქმებელთა უკუკავშირი შეფასების მექანიზმის მნიშვნელოვანი კომპონენტია. საჯარო სექტორის დამსაქმებელთა მოსაზრებები ხელს უწყობს სასწავლო პროგრამის შესაბამისობას იმ უნარებთან და კომპეტენციებთან, რომლებიც საჭიროა მმართველობისა და ადმინისტრირების სფეროში. პროგრამა ადარებს თავის შედეგებს საერთაშორისო სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ კონტექსტში. ამ პროცესის მეშვეობით, პროგრამა მუდმივად შესაბამისობაშია საჯარო მმართველობის ცვალებად გამოწვევებსა და ტენდენციებთან.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს უტარდებათ ტრენინგები შეფასების თანამედროვე მეთოდებში, და უსდ უზრუნველყოფს მათ მუდმივ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის პროცესში. გარდა ამისა, დაინტერესებული მხარეები, მათ შორის სტუდენტები, დამსაქმებლები და საჯარო მმართველობის პროფესიონალები, ეცნობიან შეფასების შედეგებს, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და თანამშრომლობას პროგრამის განვითარებასა და გაუმჯობესებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია რეგულარულად ჩატარდეს სემინარები აკადემიურ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების დახვეწის მიზნით.
- რეკომენდებულია კურსდამთავრებულთა უკუკავშირის მექანიზმების ჩამოყალიბება, რომელიც შეაფასებს სწავლის შედეგების გრძელვადიან გავლენას დასაქმებაზე და კარიერულ განვითარებაზე.
- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგისა და ანალიზის სრულფასოვანი სისტემის შემუშავება, რაც დროთა მანძილზე პროგრესის თვალის დევნების საშუალებას იძლევა.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევ(ები):

- სასურველია შეიმუშაოთ უფრო სრულყოფილი რუბრიკა ისეთი რბილი უნარების შესაფასებლად, როგორებიცაა ლიდერობა, კომუნიკაცია და გუნდური მუშაობა ჯგუფურ პროექტებსა და პრეზენტაციებში.
- სასურველია რეგულარულად განახლდეს საგნის სილაბუსები ბიზნეს კვლევისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევების ასახვის მიზნით.
- სასურველია გაძლიერდეს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობას, პერიოდული მიმოხილვებისა და დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების გზით.
- სასურველია დაემატოს „ჯგუფური მუშაობის“ შეფასების კრიტერიუმები, რადგან ამჟამად არ არსებობს მექანიზმი სტუდენტების ჯგუფური საქმიანობის შესაფასებლად. როგორ ფასდება თითოეული სტუდენტი? როგორ ხდება იმ სტუდენტის იდენტიფიცირება, რომელიც ნაკლებად არის ჩართული სამუშაო პროცესში? ამის დაკონკრეტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა თავიდან

იქნას აცილებული მომავალი გაუგებრობები და სტუდენტები ან პედაგოგმა შეძლოს საკუთარი პოზიციის დასაბუთება აპელაციის შემთხვევაში.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია გაძლიერდეს პროექტზე დაფუძნებული შეფასებების გამოყენება, რომლებიც მოდელირებას გაუაეთებენ კომპლექსურ, მულტი-დისციპლინურ ბიზნეს სცენარებს.
- სასურველია დაინერგოს კოლეგიალური შეფასების სისტემა ჯგუფური პროექტებისთვის, რათა გაიზარდოს პასუხისმგებლობა და კონსტრუქციული უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა.
- სასურველია რეგულარულად ჩატარდეს სამუშაო შეხვედრები ფაკულტეტის წევრებთან, სწავლის შედეგების შეფასების ინოვაციური მეთოდების შემუშავების მიზნით.

პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია ყოვლისმომცველი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება მმართველობის დარგში ეთიკური მსჯელობისა და პასუხისმგებლობის გაზომვის მიზნით.
- სასურველია დაამატოთ კურსის დასკვნითი პროექტები, სადაც სტუდენტები წარმოადგენენ საჯარო ადმინისტრირების მიმდინარე საკითხების პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს.
- სასურველია რეგულარულად მოხდეს სწავლის შედეგების გადახედვა და განახლება, რაშიც აისახება საჯარო მმართველობის თანამედროვე გამოწვევები და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)		X		
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)		X		
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)		X		

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა ეფუძნება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS) და შესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს სტანდარტიზებულ და საერთაშორისოდ თავსებად ჩარჩოს. სასწავლო გეგმა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომელიც ტიპიურად სამ წელიწადში სრულდება და შესაბამება ბაკალავრის ხარისხის საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლიანი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემენას. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულად გადადის შესავალი კურსებიდან რთულ კურსებზე და მოიცავს ძირითად სფეროებს როგორიცაა ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი და ეკონომიკა. არჩევითი

კურსებით სტუდენტებს შეუძლიათ სპეციალიზაცია გაიარონ ისეთ სფეროებში, როგორიცაა მეწარმეობა, საერთაშორისო ბიზნესი ან ციფრული მარკეტინგი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალობასა და სტუდენტების ინტერესებთან ადაპტაციას.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიღწევას. პრაქტიკული გამოყენება, მათ შორის სტაჟირებები, პროექტები და ქეისები, სასწავლო გეგმის არსებით ნაწილს წარმოადგენს, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიყენონ მათი ცოდნა რეალურ გარემოში. პროგრამა მოიცავს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებსა და კვლევის შედეგებს, რაც ინარჩუნებს შინაარსის აქტუალობას. ინტერნაციონალიზაციის საკითხები განიხილება გლობალური ბაზრების, კულტურათაშორისო მენეჯმენტისა და საერთაშორისო ვაჭრობის კურსებში, რაც ამზადებს სტუდენტებს კონკურენტულ გლობალურ ბიზნეს გარემოსთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამა ეფუძნება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ეკონომიკულ სისტემას (ECTS) და შესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს კარგად სტრუქტურირებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ პროგრამას. 120 ECTS კრედიტის მოცულობის მქონე ორწლიანი პროგრამა შესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს და ფოკუსირებულია მოწინავე მენეჯერულ კომპეტენციებსა და სპეციალიზებულ ბიზნეს სფეროებზე.

პროგრამის შინაარსი ასახავს სამაგისტრო დონისთვის მოსალოდნელ სირთულესა და სიღრმეს. ძირითადი კურსები, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსები, ფინანსები და მარკეტინგი, იძლევა ძლიერ საფუძველს, ხოლო არჩევითი კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტებს მოირგონ საკუთარი განათლება კარიერულ მისწრაფებებს. კურიკულუმი თანმიმდევრულად ვითარდება, კულმინაციას აღწევს თეზისით ან პროექტით, რომელიც აერთიანებს თეორიულ ცოდნასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას. ეს დასკვნითი გამოცდილება ხაზს უსვამს რეალურ ბიზნეს გარემოში პრობლემების გადაჭრასა და სტრატეგიულ აზროვნებას, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამა აერთიანებს ახალ კვლევით მიგნებებსა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის შესაბამისობას თანამედროვე ბიზნეს გამოწვევებთან. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა გლობალური ბიზნეს სტრატეგიები, ლიდერობა მულტიკულტურულ გარემოში და საერთაშორისო ფინანსები, ამზადებს სტუდენტებს გლობალურ ეკონომიკაში ეფექტური საქმიანობისთვის. პროგრამის ინდივიდუალობა ვლინდება მის მოქნილობაში, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ არჩევითი კურსები და გამოყენებითი სწავლის შესაძლებლობები თავიანთი კონკურენტული ინტერესების მიხედვით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, საბაკალავრო პროგრამა)

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობასა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS), რაც უზრუნველყოფს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს ოთხი წლის განმავლობაში, რაც შესაბამება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შესაბამება საჯარო მმართველობის ბაკალავრის ხარისხის მოთხოვნებს. ძირითადი კურსები, მათ შორის ორგანიზაციული მართვა, საჯარო ფინანსები, პოლიტიკის ანალიზი და ადმინისტრაციული სამართალი, ქმნის მყარ საფუძველს. არჩევითი კურსების საშუალებით სტუდენტები ყურადღებას ამახვილებენ მათი კარიერული მიზნებისთვის რელევანტურ კონკრეტულ სფეროებზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალობას. კურიკულუმის თანმიმდევრული გადასვლა საბაზისო ცოდნიდან სიღრმისეულ უნარებამდე ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიღწევას.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა აერთიანებს თანამედროვე კვლევით მიგნებებსა და სამეცნიერო მიღწევებს, კერძოდ ელექტრონული მმართველობის, მდგრადი განვითარებისა და საჯარო პოლიტიკის ინოვაციების სფეროებში. ინტერნაციონალიზაციას ასახავს შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს გლობალური მართვის ტენდენციებს, სახელმწიფოთაშორისი საჯარო პოლიტიკასა და საერთაშორისო საჯარო მმართველობის საუკეთესო პრაქტიკას. პრაქტიკული კომპონენტები, როგორიცაა სტაჟირება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და საჯარო სექტორის პროფესიონალებთან ურთიერთობა, კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამის შესაბამისობას და რეალურ გარემოში გამოყენებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ყველა პროგრამაში მუდმივად აისახოს შესაბამისი სფეროების მიღწევები და ბაზრის მოთხოვნების ცვლილებები.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- სამივე პროგრამისთვის სასურველია გარე პარტნიორული ურთიერთობებისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და განახლებული აკადემიური ლიტერატურის გამოყენება, და ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი სისტემის დანერგვა, რომელიც ადგენს მკაფიო მიზნებსა და განსაზღვრავს შეფასების გამჭვირვალე შიდა სტანდარტებს. მაგალითად,

რეიტინგული აკადემიური ჟურნალებისა და გამომცემლობების გამოყენებით ან საკუთარი ჟურნალების შექმნით და ა.შ.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია გაიზარდოს ტექნოლოგიურად გაუმჯობესებული სწავლის ინსტრუმენტების გამოყენება, მაგალითად სიმულაციური პროგრამული უზრუნველყოფა და ვირტუალური ბიზნეს- თამაშები, რაც პრაქტიკულ გამოცდილებას უზრუნველყოფს.
- სასურველია ინტერდისციპლინურ სწავლების ხელშეწყობა ბიზნესისა და საჯარო მმართველობის პროგრამებს შორის ერთობლივი კურსების შეთავაზებით.
- სასურველია დარგის პრაქტიკოსების მიერ ჩატარებული ლექციებისა და ვოქშოფების დამატება თეორიისა და პრაქტიკის დასახლოებლად.
- სასურველია ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესებთან ერთობლივ პროექტებში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის წახალისება ექსპერიმენტული სწავლების ხელშეწყობის მიზნით.
- სასურველია დაემატოს „ჯგუფური მუშაობის“ შეფასების კრიტერიუმები, რადგან ამჟამად არ არსებობს მექანიზმი სტუდენტების ჯგუფური საქმიანობის შესაფასებლად. როგორ ფასდება თითოეული სტუდენტი? როგორ ხდება იმ სტუდენტის იდენტიფიცირება, რომელიც ნაკლებად არის ჩართული სამუშაო პროცესში? ამის დაკონკრეტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა თავიდან იქნას აცილებული მომავალი გაუგებრობები და სტუდენტმა ან პედაგოგმა შეძლოს საკუთარი პოზიციის დასაბუთება აპელაციის შემთხვევაში.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია პროგრამაში სპეციალიზებული მიმართულებების შემოღება - „ინოვაციების მენეჯმენტი“, „გლობალური მიწოდების ჯაჭვი“ და „ციფრული ტრანსფორმაცია“, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს მიიღონ ვიწრო სფეროს ცოდნა.
- სასურველია კვლევაზე დაფუძნებული მეტი კურსების დამატება, რაც წაახალისებს სტუდენტებს გაეცნონ უახლეს აკადემიურ და დარგობრივ მიგნებებს.
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება პარტნიორ უნივერსიტეტებთან ორმაგი ხარისხის შესაძლებლობებისა და საერთაშორისო ბიზნეს სიმულაციების დამატებით.
- სასურველია დაემატოს „ჯგუფური მუშაობის“ შეფასების კრიტერიუმები, რადგან ამჟამად არ არსებობს მექანიზმი სტუდენტების ჯგუფური საქმიანობის შესაფასებლად. როგორ ფასდება თითოეული სტუდენტი? როგორ ხდება იმ სტუდენტის იდენტიფიცირება, რომელიც ნაკლებად არის ჩართული სამუშაო პროცესში? ამის დაკონკრეტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა თავიდან იქნას აცილებული მომავალი გაუგებრობები და სტუდენტმა ან პედაგოგმა შეძლოს საკუთარი პოზიციის დასაბუთება აპელაციის შემთხვევაში.

პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია ისეთი კურსების შემოღება, რომლებიც ეხება საჯარო მმართველობაში წარმოქმნილ გამოწვევებს, როგორიცაა ციფრული მმართველობა, საჯარო-კერძო პარტნიორობა და მდგრადობა საჯარო პოლიტიკაში.
- სასურველია პროგრამის საერთაშორისო ფოკუსის გაძლიერება გლობალური საჯარო ადმინისტრირების ტენდენციების კურსებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დამატებით.
- სასურველია დამატებითი არჩევითი კურსების შეთავაზება, რომლებიც მორგებული იქნება მმართველობის კონკრეტულ საკითხებზე, მაგალითად ურბანული დაგეგმარება, კრიზისების მართვა და ელექტრონული მთავრობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთა ნ	მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობა ში მოთხოვნებთ ან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)		X		
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)		X		
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)		X		

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის ზოგად სწავლის შედეგებთან. სწავლის ძირითადი სფეროს თითოეული კურსი გულდასმით არის შემუშავებული, მისი შინაარსი და მიზნები პირდაპირ უკავშირდება პროგრამის კომპეტენციების მიღწევას. მაგალითად, ფინანსების, მარკეტინგისა და მენეჯმენტის კურსები ფოკუსირებულია კონკრეტულ უნარებსა და ცოდნის სფეროებზე, რომლებიც ერთად ემსახურება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ზოგადი შედეგების მიღწევას.

თითოეული კურსის შინაარსი პირდაპირ შეესაბამება მის მიერ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს მკაფიო შესაბამისობას შემდეგ ორ ასპექტს შორის: რას

სწავლობს სტუდენტი და როგორ ფასდება იგი. თითოეული კურსისთვის გამოყოფილი აკრედიტები ასახავს მის სირთულესა და იმ დროს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ სასურველი შედეგების მისაღწევად. მაგალითად, საბაზისო კურსებს, როგორიცაა ბუღალტრული ალრიცხვის საფუძვლები, ნაკლები კრედიტი აქვს ისეთ რთულ კურსებთან შედარებით, როგორიცაა სტრატეგიული ბიზნეს მენეჯმენტი, რომელიც მეტ სიღრმესა და გამოყენებას მოითხოვს.

თითოეული კურსის სილაბუსი დეტალურად მოიცავს სავალდებულო ლიტერატურასა და რესურსებს, რომლებიც განახლებული, რელევანტური და მორგებულია კურსის სწავლის შედეგებზე. ამ მასალების შერჩევა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს შეეძლოთ როგორც კურსის, ასევე პროგრამის ზოგადი სწავლის შედეგების მიღწევა. მაგალითად, მარკეტინგის კურსები მოიცავს პრაქტიკულ კეისებს, ხოლო ფინანსების კურსები იყენებს სიმულაციურ ხელსაწყოებსა და თანამედროვე ფინანსური ანალიზის პროგრამულ უზრუნველყოფას, რაც უზრუნველყოფს საფუძვლიან საგანმანათლებლო გამოცდილებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის ძირითად მიზნებთან. სწავლის ძირითდი სფეროს თითოეული კურსი შემუშავებულია იმგვარად, რომ გაარღმოს სტუდენტთა ცოდნა და უნარები, ამავდროულად ხელი შეუწყოს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის ფართო კომპეტენციებს. მაგალითად, სტრატეგიული მენეჯმენტის, ფინანსებისა და ლიდერობის ძირითადი კურსების სტრუქტურა ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღებისა და მენეჯერული უნარების გაძლიერებას.

თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება მის სპეციფიკურ სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებს ისეთი მასალებით, რომლებიც პირდაპირ რელევანტურია მათი, როგორც ბიზნეს ლიდერების, განვითარებისთვის. კრედიტები განაწილებულია პროპორციულად საგნის სირთულისა და სიღრმის მიხედვით. მაგალითად, კორპორაციული მართვის ან ფინანსური ანალიზის კურსებს მეტი კრედიტი აქვთ მინიჭებული მათი ყოვლისმომცველი შინაარსისა და ინტენსიური სამუშაო დატვირთვის გამო.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო რესურსები გულდასმით არის შერჩეული თითოეული კურსის სწავლის შედეგების შესაბამისად. აღნიშნული რესურსები, მათ შორის აკადემიური ჟურნალები, კეისები და სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა, იმის გარანტია, რომ სტუდენტები მიაღწევენ როგორც კურსის, ასევე პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგალითად, ლიდერობის კურსები მოიცავს გლობალური ორგანიზაციების კეისებს, ხოლო ფინანსების კურსები იყენებს ფინანსური მოდელირების უახლეს ხელსაწყოებს, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეიძინონ მოწინავე ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, საბაკალავრო პროგრამა)

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს ცალკეული კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის ზოგად მიზნებთან. სწავლის ძირითადი სფეროს თითოეული კურსი ითვალისწინებს საჯარო მმართველობის პროფესიონალებისთვის

აუცილებელ სპეციფიკურ კომპეტენციებს, როგორიცაა პოლიტიკის ანალიზი, მართვა და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება. ეს კომპეტენციები ერთად ემსახურება პროგრამის ფართო სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული კურსის შინაარსი პირდაპირ შეესაბამება მის მიერ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, რაც თანმიმდევრულობასა და სიცხადეს უზრუნველყოფს. კრედიტები გამოიყოფა თითოეული კურსის შინაარსისა და სირთულის მიხედვით, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს საკმარისი დრო და რესურსი დაუთმონ მასალის დაუფლებას. მაგალითად, ისეთ კურსებს, როგორიცაა საჯარო ფინანსები და პოლიტიკის ანალიზი, მინიჭებული აქვთ მეტი კრედიტი შესავალ კურსებთან შედარებით, რაც ასახავს მოთხოვნილ სიღრმესა და სიცხადეს.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო რესურსები შეჩერებულია კურსის სწავლის შედეგების შესაბამისად და ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პროგრამის ფართო მიზნების მიღწევას. აღნიშნული რესურსები მოიცავს თანამედროვე სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო სტატიებსა და პრაქტიკულ ინსტრუმენტებს, როგორიცაა პოლიტიკის ანალიზის ჩარჩოები და მართვის მოდელები. მაგალითად, ადმინისტრაციული სამართლის კურსები მოიცავს შესაბამის კეისებსა და საკანონმდებლო მასალებს, ხოლო მართვის კურსები აერთიანებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ყოვლისმომცველი და პრაქტიკული ცოდნის შეძენას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კომპონენტის მტკიცებულებები/ ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შერეული სწავლების მიდგომების გამოყენება ტრადიციული და ციფრული სწავლების მეთოდების კომბინირების მიზნით.
- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალი წახალისება, მათი ჩართვა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში, რათა მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი ინოვაციური სწავლების მეთოდების შესახებ.
- რეკომენდებულია ყველა კურსში თანამედროვე ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებს ხელშეწყობა ინტერაქტიული სწავლის გაუმჯობესების მიზნით.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია განახლდეს ლიტერატურა ისეთი კურსებისთვის როგორიცაა "ინოვაციური მენეჯმენტი" და "პროექტის მართვა" საერთაშორისო სტანდარტებთან და აღნიშნული დარგების დინამიკურ მიღწევებთან შესაბამისობის გასაუმჯობესებლად.
- რეკომენდებულია მეტი ინტერდისციპლინური კურსის შემოტანა, რომლებიც ბიზნესის ადმინისტრირებას და აკავშირებს ისეთ განვითარებად სფეროებთან, როგორიცაა ტექნოლოგიების მართვა და მდგრადი განვითარება.
- რეკომენდებულია გაიზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა და მოიცვას თანამედროვე თემები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში, მდგრადი ბიზნეს პრაქტიკა და სამეცნიერო ეკოსისტემები, რაც გაზრდის პროგრამის ინდივიდუალობასა და შესაბამისობას.

რჩევები:

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა არჩევითი კომპონენტის სახით გვთავაზობს "საბაკალავრო ნაშრომს". დარგობრივი სტანდარტის თანახმად, კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეიმუშავებს და წარადგენს კვლევაზე დაფუძნებულ პრაქტიკულ პროექტს. პროგრამა მოიცავს კურსს „პროექტის მენეჯმენტი“, რომელშიც შეიძლება შედიოდეს დამატებითი კვლევითი სამუშაო.
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება გლობალური ქეისების ჩართვითა და ისეთი კურსების შეთავაზებით, რომლებიც ორიენტირებულია კულტურათაშორის ბიზნესსტრატეგიების შესწავლზე.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კურსი "ინოვაციური მენეჯმენტი" არჩევითიდან გადატანილი იქნას სავალდებულო კომპონენტში, რადგან ეს დისციპლინა პირდაპირ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მნიშვნელოვნად გაზრდის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას.
- რეკომენდებულია ძირითადი კურსების სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა და განახლება, რაც ასევე უზრუნველყოფს დიფერენციაციას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეებს შორის, სადაც სამაგისტრო პროგრამა გაძლიერებულ და სტრატეგიულ მართვის საკითხებზე მკაფიო აქცენტს აკეთებს.

რჩევები:

- სასურველია რეალური გამოწვევების იმიტაციისთვის გამოიყენოთ რთული სიმულაციური პროგრამული უზრუნველყოფა ისეთი კურსებისთვის, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი და ფინანსური მოდელირება.
- სასურველია ლიდერობის განვითარების სამუშაო შეხვედრებისა და როლური სავარჯიშოების შემოღება მენეჯერული კომპეტენციების გასამლიერებლად.
- სასურველია წახალისდეს ინტერდისციპლინური თანამშრომლობა, რაც გულისხმობს პროექტების ინტეგრირებას სხვა სამაგისტრო პროგრამებში, როგორიცაა მაგ. „საჯარო მმართველობა“ ან „მონაცემთა მეცნიერება“.

პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

- წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და ადგილზე ვიზიტმა ნათლად გამოავლინა, რომ „საჯარო მმართველობის“ სილაბუსში მითითებული ლიტერატურის განაწილება არ არის შესაბამისობაში - თითოეული ლექციის ლიტერატურა და გვერდები არ ემთხვევა ლექციის თემებს. ეს ეჭვეჭვეშ აყენებს იმ არსებით ლიტერატურას, რომელიც სილაბუსშია მოხსენიებული. შესაბამისად, ეს სილაბუსი საჭიროებს სიღრმისეულ გადახედვასა და რევიზიას, რათა უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობა.
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაში არ არის კურსი „საჯარო გამოსვლა“, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა მომავალი საჯარო მოხელეების პროფესიული საქმიანობისთვის. გარდა ამისა, პროგრამა მკაფიოდ წარმოაჩენს კურსდამთავრებულთა სამუშაო მიმართულებას.

რჩევები:

- სასურველია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების აქტივობების დანერგვა, სადაც სტუდენტები იმუშავებენ რეალურ პოლიტიკურ გამოწვევებზე ადგილობრივ ხელისუფლებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.
- სასურველია გაიზარდოს როლური და სიმულაციური სავარჯიშოების გამოყენება ისეთ კურსებში, როგორიცაა პოლიტიკის ანალიზი და საჯარო ფინანსები, რაც გააძლიერებს გადაწყვეტილებების მიღების უნარებს.
- სასურველია დამყარდეს პარტნიორობა სამთავრობო უწყებებთან სტუდენტებისთვის სტაჟირებისა და პრაქტიკული მომზადების მეტი შესაძლებლობის შესაქმნელად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამი სობაშია მოთხოვნ ებთან	მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის
მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს
თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს
პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, დამატებითი დოკუმენტაციისა და ადგილზე ჩატარებული გასასუბრებების საფუძველზე, ექპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ პროგრამის მიღების წინაპირობები შესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. მიღების კრიტერიუმები შესაბამება პროგრამის შინაარსს, დაგეგმილ სწავლის შედეგებს, საგანმანათლებლო დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას. აღნიშნულ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული პროგრამა აკმაყოფილებს შესაბამის მარეგულირებელ სტანდარტებს, და იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება შიდა მიღების შეფასებები, პროცედურები გამჭვირვალე, დოკუმენტირებული და ხელმისაწვდომია. მიღების პროცედურების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხოლო პროგრამაზე მიღების მოთხოვნები სრულად შესაბამება შესაბამის კანონმდებლობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1- ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია ზოგადი განათლების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმატებით გაივლის საქართველოს ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ჩატარებულ გამოცდებს, შეუძლია ჩაირიცხოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ არეგულირებს იმ პირების ჩარიცხვას, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები.

მოკლედ რომ ვთქვათ, პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველები უნდა ფლობდნენ სულ მცირე ბაკალავრის ან მასთან

გათანაბრებულ ხარისხს. ჩარიცხვა დამოკიდებულია ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარებაზე, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, აგრეთვე უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ შიდა გამოცდაზე ბიზნესის მართვაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე). კანდიდატებმა უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე და გამოცდაზე მინიმუმ 51 ქულა მიიღოს.

აპლიკანტებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისური ენის ფლობის სერტიფიკატს, მიღებულია შემდეგი ქულები: TOEFL IBT (72- 94, სადაც 72 ქვედა ზღვრია), TOEFL ITP (543), ან IELTS (5.0 – 6.0, სადაც 5.0 ქვედა ზღვრია). აპლიკანტები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ ენობრივ მოთხოვნებს, თავისუფლდებიან უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ენობრივი გამოცდისაგან.

შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების („ბიზნესის ადმინისტრირება“ და „ინგლისური ენა (B2 დონე)“) შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ არის განსაზღვრული, და წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ არეგულირებს იმ პირების ჩარიცხვას, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - საჯარო მმართველობა, საბაკალავრო პროგრამა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია ზოგადი განათლების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმატებით გაივლის საქართველოს ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ჩატარებულ გამოცდებს, შეუძლია ჩაირიცხოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ არეგულირებს იმ პირების ჩარიცხვას, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები.

მოკლედ რომ ვთქვათ, პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

მიღების წინაპირობები შესაბამისობაშია პროგრამის მახასიათებლებთან, რაც უზრუნველყოფს მხოლოდ იმ სტუდენტების ჩარიცხვას, რომლებსაც გააჩნიათ პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის საჭირო ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. მოთხოვნები სათანადოდ უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს, საგანმანათლებლო დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას. გარდა ამისა, ინსტიტუცია იყენებს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მკაფიოდ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და ხელმისაწვდომ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურ ადმინისტრირებას. წინაპირობები სამართლიანი, საჯაროდ ხელმისაწვდომი და გამჭვირვალეა, რაც ხელს უწყობს პროგრამაზე მიღების ინკლუზიურ და თანასწორ პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- თელავის უნივერსიტეტის ვებ გვერდი: <http://www.tesau.edu.ge/>
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთა ნ	მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთა მოთხოვნებთა	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთა ნ
--	--	--	--	--

პროგრამა 1 (ბიზნესის
ადმინისტრირება,
ბაკალავრიატი)

X

□

□

□

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ადგილზე ჩატარებული გასაუბრებები ადასტურებს, რომ კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს გააჩნიათ ეფექტური სტრუქტურა, რაც ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. (აღნიშნული მიგნებები დეტალურად იქნება წარმოდგენილი თითოეული პროგრამისთვის). სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა კონფერენციებში, ვოქტოფებსა და ტრენინგებში, ასევე სამეცნიერო კონფერენციებში, რაც ხელს უწყობს მათ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტები არსებითა ბიზნესის ადმინისტრირებისა და საჯარო მმართველობის სტუდენტებისთვის. იგი არ არ მხოლოდ თეორიულ ცოდნას, არამედ მომავალი კარიერისთვის აუცილებელ რეალურ სამყაროსთან დაკავშირებულ უნარებსა და გამოცდილებას ამდიდრებს. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე გამოიკვეთა პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის დადებითი შეფასება. დამსაქმებლებმა გამოთქვეს ძლიერი მოტივაცია მხარი დაუჭირონ სტუდენტების პროფესიულ ზრდას, აღიარებენ რა პრაქტიკული კომპონენტების მნიშვნელობას მათი უნარებისა და დასაქმების გაუმჯობესებაში.

პრაქტიკული კომპონენტის შეფასების ფარგლებში, ჩატარდა აქტიური გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, ასევე მოხდა შესაბამისი დოკუმენტაციის მიმოხილვა. პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელოვან ასპექტს ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმები.

2024 წლის 11 ოქტომბერს, უნივერსიტეტმა ხელი მოაწერა N57 მემორანდუმს თელავის მუნიციპალიტეტის საბჭოსთან, რომელიც ითვალისწინებს 15 სტუდენტის პრაქტიკას. თუმცა, მემორანდუმში არ არის მითითებული პრაქტიკის ხანგრძლივობა, რაც ეჭვევეშ აყენებს პრაქტიკული კომპონენტის ეფექტურ განხორციელებას. იმავე დღეს, ხელი მოეწერა N56 მემორანდუმს სახელმწიფო რწმუნებულთან, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების

მომზადებას დოქტორანტურისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინიციატივა მისასალმებელია, ის სცილდება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ფარგლებს და ამიტომ ვერ ჩაითვლება მიმდინარე შეფასებისთვის რელევანტურად. 2024 წლის 22 აპრილს დასაქმების სააგენტოსთან ხელმოწერილი მემორანდუმი N26 არ შეიცავს სტანდარტებით განსაზღვრულ არსებით კრიტერიუმებს, როგორიცაა სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა. მიუხედავად ამისა, იგი ხაზს უსვამს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობას, რაც დადებით გავლენას მოახდენს მათი კარიერული პერსპექტივების მხარდაჭერაზე. თელავის მუნიციპალიტეტის მერიასთან ხელმოწერილი მემორანდუმი N55 შესაბამება სტანდარტებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს და ითვალისწინებს პრაქტიკულ მომზადებას, რომელიც აკმაყოფილებს საგანმანათლებლო მოთხოვნებს. ასევე, თელავის ისტორიულ მუზეუმთან გაფორმებული მემორანდუმი N29 აკმაყოფილებს საჭირო კრიტერიუმებს.

რომ შევაჯამოთ, უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარებას, რაც დადებითად შეაფასეს დამსაქმებლებმა. თუმცა, აუცილებელია გარკვეულწილად გაუმჯობესდეს დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობა და გაიზარდოს პრაქტიკული მომზადების საერთო ეფექტიანობა, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს სტუდენტთა პროფესიულ ზრდას.

რაც შეეხება კერძო სექტორთან გაფორმებულ მემორანდუმებს, რამდენიმე მათგანი განახლდა დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად. მაგალითად, შპს "თელავი რეზორტთან" გაფორმებული მემორანდუმი N31 შესაბამისად გაახლოდა. თუმცა, კვლავ არსებობს მემორანდუმები, რომლებიც საჭიროებენ განახლებას სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად, მაგალითად შპს "მინდოორთან" გაფორმებული მემორანდუმი N57.

საერთო ჯამში, გაუმჯობესება აუცილებელია დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობისა და პრაქტიკული მომზადების საერთო ეფექტიანობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს სტუდენტების პროფესიულ ზრდას. კერძო სექტორიდან დამსაქმებლებთან გასაუბრებებისას, ხაზი გაესვა უნივერსიტეტის მნიშვნელოვან როლს, დამსაქმებლებმა გამოხატეს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის დიდი სურვილი. ამ თანამშრომლობით უნივერსიტეტი შეძლებს სხვადასხვა ერთობლივი ინოვაციური პროექტებისა და მიდგომების შემუშავებას და დაგეგმვას, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს საგანმანათლებლო გამოცდილებას და გააუმჯობესებს სტუდენტების მზაობას შრომის ბაზრისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ კერძო და საჯარო სექტორებთან გაფორმებული მემორანდუმები დადებითად ფასდება, ყველა მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს საჭირო სტანდარტებს და ეფექტიანად უნდა უჭერდეს მხარს სტუდენტების პრაქტიკული მომზადების გაუმჯობესებას. დამსაქმებლების მხრიდან გამოხატული ენთუზიაზმი ხაზს უსვამს სამომავლო პარტნიორობის ნაყოფიერ პოტენციალს, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის მიზნებს და გააუმჯობესოს მისი სტუდენტების პროფესიული განვითარება. აღნიშნული კონტექსტიდან გამომდინარე, შემდგომ ნაწილში წარმოგიდგენთ რჩევებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის
მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები მიუთითებს იმაზე, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განსავითარებლად. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი საგანმანათლებლო ჩარჩოს განუყოფელი ნაწილია და შესაბამება პროგრამის მიზნებს.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას სჭირდება სასწავლო ლიტერატურის საფუძვლიანი გადახედვა, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას სწრაფად ცვლად ბიზნეს გარემოსთან. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მსგავსად, საბაკალავრო პროგრამაშიც მითითებულია 2019 წლის პუბლიკაცია „პროექტის მართვის“ კურსში, რომელიც არასაკმარისად ასახავს ისეთ თანამედროვე მეთოდოლოგიებს, როგორიცაა ეჯაილი. ამ მოძველებულ რესურსებზე დამოკიდებულება არა მხოლოდ ზღუდავს სტუდენტების წვდომას მიმდინარე პრაქტიკაზე, არამედ აფერხებს მათ შესაძლებლობებს ეფექტურად გაუმკლავდნენ თანამედროვე პროექტის მართვის სირთულეებს.

მეტიც, ორივე პროგრამაში ერთი და იგივე საბაზისო ლიტერატურის გამოყენება ეჭვეკეშ აყენებს მისი რელევანტურობისა და სიღრმის საკითხს. თავების უბრალოდ გამიჯვნა პროგრამებს შორის საკმარისად ვერ პასუხობს თითოეული საგანმანათლებლო დონის უნიკალურ აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებს.

„მართვის საფუძვლების“ კურსი უნდა მოიცავდეს თანამედროვე ლიტერატურას, რომელიც აგებულია არსებულ ცოდნაზე და ამავდროულად შემოაქვს თანამედროვე თეორიები და პრაქტიკები. თუმცა კლასიკური ლიტერატურა ღირებულებას არ კარგავს, მისი თანამედროვე რესურსებით გამდიდრება სტუდენტებს დარგის უფრო ყოვლისმომცველ ცოდნას შესძენს.

ასევე უნდა განახლდეს „მარკეტინგის საფუძვლების“ კურსი და ასახოს მარკეტინგის უახლესი ტენდენციები და პრაქტიკები, განსაკუთრებით ციფრული ტრანსფორმაციის კონტექსტში, რომელმაც ფაქტობრივად შეცვალა დარგის სახე. მიმდინარე მარკეტინგული სტრატეგიები სულ უფრო მეტად ეფუძნება მონაცემებს, რაც ხაზს უსვამს იმ საჭიროებას, რომ სტუდენტებმა იცოდნენ ანალიტიკა, სოციალური მედიის მარკეტინგი და მომხმარებლის ქცევის ცვლილებები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამამ რეგულარულად უნდა განაახლოს თავისი სასწავლო მასალები იმისათვის, რომ უზრუნველყოს სტუდენტები იმ ცოდნითა და უნარებით, რომლებიც საჭიროა მუდმივად ცვლად ბიზნეს გარემოში წარმატების მისაღწევად. თანამედროვე ლიტერატურისა და

მეთოდოლოგიების ინტეგრაციით, პროგრამები უკეთესად მოამზადებენ
კურსდამთავრებულებს დღევანდელი დინამიური ბაზრის მოთხოვნების
დასაკმაყოფილებლად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა)

თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები მიუთითებს იმაზე, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განსავითარებლად. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი საგანმანათლებლო ჩარჩოს განუყოფელი ნაწილია და შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

სასწავლო გეგმა მოიცავს პრაქტიკულ საათებს და სემინარებს სხვადასხვა სასწავლო კურსებში, ასევე დამოუკიდებელ პრაქტიკულ კურსებს. პროგრამის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის დასრულება, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევაზე ორიენტირებული დავალებების შესრულების უნარის გაუმჯობესებას.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სპეციფიკურ კურსებს, როგორიცაა „ბიზნეს კვლევის მეთოდები“, „მენეჯერული ეკონომიკა“ და „ბიზნეს სტატისტიკა“, რომლებიც მიზნად ისახავენ კვლევითი უნარების განვითარებას. ამ კურსების ფარგლებში სტუდენტები მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობებში, როგორიცაა სემინარის პრეზენტაციების მომზადება, კვლევითი პროექტების განხორციელება და აკადემიური ნაშრომების წერა. ეს დავალებები ემსახურება მონაცემთა ამოღების, დამუშავების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარების განვითარებას.

დამატებით, ისეთი კურსები, როგორიცაა „ბიზნეს პროცესები და ოპერაციული მართვა“, ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას, ასწავლის მათ იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც საჭიროა ბიზნეს ოპერაციების ეფექტურად ანალიზისა და გაუმჯობესებისთვის.

მოკლედ რომ ვთქვათ, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ეფექტურად აერთიანებს პრაქტიკულ, კვლევით და ტრანსფერულ უნარებს სასწავლო გეგმაში. თუმცა, აუცილებელია სასწავლო ლიტერატურის გადახედვა, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას ინოვაციებისა და პროექტის მართვის სწრაფად ცვალებად სფეროებთან. მაგალითად, „ინოვაციის მართვის“ კურსის ძირითადი ლიტერატურა, რომელიც 2015 წელს გამოქვეყნდა, მოძველებულია. ინოვაციის სწრაფად განვითარებადი ხასიათის გათვალისწინებით, რომელზეც მუდმივ გავლენას ახდენს ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო დინამიკა, სტუდენტებს სჭირდებათ წვდომა მიმდინარე ლიტერატურაზე, რომელიც ასახავს ამ ცვლილებებს. ინოვაციის მართვის სფერო თავისთვად დინამიური გახლავთ, რაც მოითხოვს საგანმანათლებლო მასალების რეგულარულ განახლებას, რათა ფეხი აუწყოს ახალ თეორიებსა და პრაქტიკებს.

ანალოგიურად, „პროექტის მართვის“ სასწავლო მასალა 2019 წლით თარიღდება, რაც არ მოიცავს თანამედროვე მეთოდოლოგიებს, მაგალითად Agile-ს. Agile მეთოდოლოგიამ გარდაქმნა პროექტის მართვის პრაქტიკა, ხელი შეუწყო მის მოქნილობას, იტერაციულ პროგრესს და თანამშრომლობით გუნდებს. ძველი მეთოდოლოგიები ვერ განუვითარებს სტუდენტებს თანამედროვე პროექტის გარემოს სირთულეებთან გამკლავების უნარს.

იმისათვის, რომ სტუდენტებმა შეიძინონ შესაბამისი და პრაქტიკული ცოდნა, აუცილებელია აღნიშნული ლიტერატურის გადახედვა, განალიზება და განახლება ორივე კურსის შემთხვევაში. ეს არა მხოლოდ გააუმჯობესებს საგანმანათლებლო გამოცდილებას, არამედ მოამზადებს სტუდენტებს დასაქმების კონკურენტუნარიანი ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომელიც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე უნარებსა და ცოდნას. სასწავლო მასალების განახლება ხელს შეუწყობს კრიტიკულ აზროვნებასა და ინოვაციას, უზრუნველყოფს სტუდენტებს იმ ინსტრუმენტებით, რომლებიც მათ სამომავლოდ კარიერაში დაეხმარებათ.

რეკომენდებულია „პროექტის მართვის“ კურსში შევიდეს თანამედროვე მეთოდოლოგიები, იგი სპეციფიკურად უნდა მოიცავდეს ისეთ თანამედროვე რესურსებს, როგორიცაა, მაგალითად Agile და Lean მართვა. ამ მეთოდოლოგიებმა მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვეს ბიზნეს სფეროში და სტუდენტებისთვის აუცილებელია მათი ცოდნა იმისთვის, რომ დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანი იყვნენ.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელ ები	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁶	მათ შორის, აფილირებუ ლი აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების	12	12	11

⁶ ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი	6	6	5
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2
მოწვეული პერსონალი			—
სამეცნიერო პერსონალი			—

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 საფეხური

თვითშეფასების დოკუმენტი ვერ გვაწვდის მკაფიოდ ინფორმაციას ამ საკითხზე. ის არასრული და დამაბნეველია. მაგალითად, ზემოხსენებულ ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს ცხრილის რეორგანიზების შედეგად, რომელშიც რამდენიმე ფაკულტეტი იყო ჩამოთვლილი რამდენჯერმე (წყარო: დოკუმენტი „ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა“; გვერდების ნომრები შეუსაბამოა, ამიტომ იხილეთ ამ დოკუმენტის ბოლო ცხრილი).

თშა არ იძლევა მტკიცებულებას იმის დასასაბუთებლად, რომ მაგისტრატურის ბოლო საფეხურის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.

Google Scholar-ში და ასევე Google —ის გაფართოებულ ძიებაში ვერ აღმოჩნდა ძირითადი და, ნაწილობრივ, აფილირებული პერსონალის აკადემიური პუბლიკაციების დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც დაკმაყოფილებდა საერთაშორისო/ეროვნულ სტანდარტებს ხარისხისა და რაოდენობის თვალსაზრისით. ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ შეუძლია ფაკულტეტს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს აკადემიური გამოცემის რაოდენობრივ და ხარისხობრივ სტანდარტებს, წარმატებით ასწავლოს აკადემიური წერის საერთაშორისო/ეროვნული სტანდარტები და უზრუნველყოს ამ სტანდარტების განხორციელება მათი სტუდენტების ნაშრომებში სწავლის ბოლოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითსეფასების ანგარიში, მათ შორის დანართები (როგორც ზემოთ იქნა მოყვანილი).
- ძირითადი/აფილირებული ფაკულტეტის წევრების პირადი მონაცემები (CVs)
- Google Scholar – ში ძირითადი/აფილირებული ფაკულტეტის წევრების ძიების შედეგები
- Google Scholar – ში ძირითადი/აფილირებული ფაკულტეტის წევრების ძიების შედეგები
- საგამომცემლო საქმიანობის შესახებ მოთხოვნილი მტკიცებულება, რომელიც ნაწილობრივ არ იყო მოწოდებული

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- სასურველია განსაკუთრებით წახალისდეს ის აკადემიური პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობს სამაგისტრო ნაშრომებს, რათა შექმნან და შეინარჩუნონ კვლევითი მიმართულება, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

რეკომენდაციები:

პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება (საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება (სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია აკადემიური წერის შიდა რესურსი/პოტენციალის განვითარება, ამგარად შემცირდება სამაგისტრო საფეხურზე მოდულების წაკითხვისა და ხელმძღვანელობისთვის გარედან ლექტორების მოწვევის აუცილებლობა.

პროგრამა 3 საჯარო მმართველობა (საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არ არსებობს მაღალი დონის სამეცნიერო საქმიანობის დამადასტურებელი მტკიცებულება (ან სულ მცირე აკადემიური საგამომცემლო აქტივობები, რომლებიც აკმაყოფილებს ქვედა საერთაშორისო/ეროვნულ სტანდარტებს), განსაკუთრებით კლასტერის ძირითადი ფაკულტეტის წევრებს შორის, არ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ კლასტერი ან პროგრამა შეესაბამება მოთხოვნებს. მხოლოდ დოქტორანტურის არსებობა ვერ აქცევს ადამიანს მეცნიერად. თუმცა, სტუდენტები იმსახურებენ, რომ ჰყავდეთ აქტიური სამეცნიერო ხელმძღვანელები.

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
პროგრამა 1 (ზიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ზიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პრო გრამა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ამასთანავე, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

თვითშეფასებაში ნათქვამია, რომ „პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი საგანმანათლებლო, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას“. თუმცა, როდესაც სთხოვეს, მიეწოდებინათ მათი ფაკულტეტის წევრების შესრულებული სამეცნიერო პუბლიკაციების ასლები, ვერც თესაუ-ს ადმინისტრაციამ, ვერც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და ვერც თვითშეფასების ჯგუფმა ვერ მიაწოდა ექსპერტებს სტატიების ასლები, რომლებიც მათი ფაკულტეტის წევრების (CV-ების მიხედვით) მიერ იყო „გამოქვეყნებული“ და არც ინტერნეტში მოიპოვებოდა. ეს წარუმატებელი ინციდენტი გაგრძელდა არა მხოლოდ ადგილზე ვიზიტის პირველი დღის ბოლომდე, არამედ მეორე დღესაც. ეს შეფერხება მიუთითებს იმაზე, რომ კვლევას არ ენიჭება მაღალი მნიშვნელობა „სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის“ შეფასებაში. უფრო მეტიც, ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ არ არსებობს არც ფორმალური და არც არაფორმალური სტანდარტები ფაკულტეტის წევრების აკადემიური პუბლიკაციების რაოდენობასა და ხარისხთან დაკავშირებით მათი კარიერის სხვადასხვა ეტაპზე. ეს ზოგადად ცუდი მიღწევები „სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების“ სფეროში ეხება ფაკულტეტს, რომელიც დაკავშირებულია ამ კლასტერული შეფასების კონტექსტში შემავალ სამივე პროგრამასთან.

თესაუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის კვლევითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად, პასუხისმგებელმა მენეჯმენტმა უნდა გააცნობიეროს, რომ საჭიროა დაინერგოს კვლევის წახალისების სისტემა, რომელიც ნამდვილად იქნება გამოყენებული არსებულ კომპეტენციისა და ინტერესის გასაზრდელად, რომ გამოაქვეყნონ მაღალი ხარისხის საერთაშორისო/ეროვნულ აკადემიურ ჟურნალებში. ფაკულტეტთან გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ თესაუ, რეალურად, საკმარის დროს გამოყოფს კვლევისთვის. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ფაკულტეტი შედარებით დაბალ ანაზღაურებას იღებს თესაუ-ში, ისინი ამ დროს იყენებენ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლებისთვის, რათა მოახდინონ თავიანთი მოკრძალებული ხელფასის კომპენსირება. შედეგად მიღებული „ტვინების გადინება“ ძლიერ უარყოფით გალენას ახდენს თესაუ-ში სწავლების ხარისხზე. ეს ეხება მხოლოდ მაგისტრატურაში სწავლებასა და ხელმძღვანელობას, არამედ უფრო დაბალ საფეხურებზეც, სადაც სილაბუსების ანალიზის დროს არაერთხელ შეგვხვდა +20 წლის წინანდელი სახელმძღვანელოები ისეთ დროსთან მიმართებით სენსიტიურ თემებზე, როგორიცაა ინოვაცია ან მარკეტინგი. კითხვაზე, თუ რატომ იყენებს ფაკულტეტი ამ ძველ წიგნებს დღემდე, პასუხი იყო, რომ ქართულ ენაზე სხვა სახელმძღვანელოები არ არსებობდა. კითხვაზე, რატომ არ წერენ საკუთარ სახელმძღვანელოებს, ფაკულტეტმა პასუხი ვერ გასცა. თუმცა, როგორც ჩანს, პასუხი დაკავშირებულია ტვინების გადინების ზემოთხსენებულ საკითხთან.

ამ პრობლემის დასაძლევად, ადმინისტრაციამ უნდა დანერგოს კვლევის წახალისების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ წახალისებას გამოქვეყნებისთვის მინიმუმ

ზომიერად ამბიციურ დონეზე (დაწყებული, მაგ., რანგით 1* ან 2* CABS Academic Journal Guide 2024 –ში ან Q3 –ით და ზემოთ იმფაქტ ფაქტორის ანალიზის სქემის მიხედვით, როგორიცაა, მაგალითად, Clarivate-ის მიერ მოწოდებული მონაცემები).

ეს წამახალისებელი პრემია ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი უნდა იყოს იმდენად, რამდენადაც ის ისეთივე სასურველი უნდა იყოს ფაკულტეტის წევრებისთვის, როგორც ხელფასის დანამატი, რომელსაც ისინი სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლებით გამოიმუშავებენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- CV-ები
- დამატებითი ინფორმაციის/მტკიცებულებების მოთხოვნა ადგილზე ვიზიტების დროს
- Google Scholar-ის კვლევა
- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ფაკულტეტის წევრებთან გამართული გასაუბრება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კვლევითი საქმიანობის წახალისების სისტემის დანერგვა, რომელიც კვლევაში აქტიურად ჩართულ აკადემიურ პერსონალს შესთავაზებს მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელს. ეს საშუალებას მისცემს მათ, თავი აარიდონ სხვა უმაღლეს დაწესებულებაში მუშაობას დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით.

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია შეიქმნას კვლევითი ხარისხის შეფასების სისტემა, რომლის ფარგლებშიც აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული ყველა მაღალი ხარისხის პუბლიკაცია შეგროვდება სპეციალურ მონაცემთა ბაზაში, საიდანაც ისინი ხელმისაწვდომი იქნება როგორც შემფასებლებისთვის, ასევე მკვლევრებისა და საზოგადოებისთვის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): -

შეფასება

არ არის ეფექტური ფორმალური ან არაფორმალური სტიმულირების სისტემა აკადემიური თვით/განვითარებისთვის, განსაკუთრებით „სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის“ სფეროში. გასაგები მიზეზების გამო, ფაკულტეტის წევრებს ურჩევნიათ ხელფასი შეავსონ სხვა

ინსტიტუტებში მუშაობით, ვიდრე კვლევის ჩატარებით. მაგრამ სოლიდურ დონეზე კვლევის ჩატარება აუცილებელია ა) საკუთარი აკადემიური პროფილის, ბ) მათი მშობლიური დაწესებულების აკადემიური რეპუტაციის და გ) სოლიდური დონის კვლევაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მისაღებად საჭირო კომპეტენციების გასავითარებლად. ეფექტური მენეჯმენტური მიდგომების არარსებობის გათვალისწინებით, რომელიც სტიმულს მისცემდა (მირითად) ფაკულტეტს შეექმნა და შეენარჩუნებინა საერთაშორისო/ეროვნულ დონეზე წარმატებული კვლევითი პროფილი, არსებული ინსტიტუციური გარემო უნდა შეფასდეს როგორც – არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

კომპონენტი 4.3.	შესაბამისობაში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად ია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
-----------------	---	------------------------------------	---	---

ყველა პროგრამა



4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯვაფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

იმის გათვალისწინებით, რომ კლასტერში დაჯვაფებული საგანმანათლებლო პროგრამები ერთნაირ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას იზიარებს, შეფასებაც ერთიან ფორმატში იქნება წარმოდგენილი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრება, საბაკალავრო პროგრამა)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრება, სამაგისტრო პროგრამა)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, საბაკალავრო პროგრამა)

ადგილზე გასაუბრების, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შემოწმების საფუძველზე დასტურდება, რომ უნივერსიტეტის

ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა ადეკვატურად უწყობს ხელს ყველა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს შეუზღუდვავი და ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა, ასევე სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, კერძოდ:

- შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები;
- საგამოცდო ცენტრი;
- კომპიუტერული ტექნოლოგიებითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებით აღჭურვილი საუნივერსიტეტო სივრცეები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობა;
- სპორტული დარბაზები;
- შენობა სრულად არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის.

თუმცა, ბიბლიოთეკის დათვალიერებისას გაირკვა, რომ აკადემიური დისციპლინებისთვის საჭირო წიგნების რაოდენობა არასაკმარისია. მაგალითად, ძალიან ცოტა წიგნია საჯარო მმართველობის შესახებ, როგორც ელექტრონული, ისე ფიზიკური ფორმატით. სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ძირითადად ხელმისაწვდომია მხოლოდ ელექტრონული ფორმით. ეს, რა თქმა უნდა, არ უქმნის დიდ პრობლემას იმ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ წვდომა ინტერნეტზე ან ფლობენ საკუთარ ელექტრონულ მოწყობილობებს. თუმცა არიან სტუდენტები, რომლებსაც არ აქვთ კომპიუტერი და სავალდებულო წიგნების მხოლოდ ელექტრონული ვერსიის არსებობის პირობებში, ისინი სხვა სტუდენტებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილი იყოს სახელმძღვანელოებით, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს მიაღწიონ პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს აქვთ წვდომა შემდეგი საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე: EIFL-ის (ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის) საგნობრივი სამეცნიერო ბაზების სია, რომლებიც ხელმისაწვდომია კონსორციუმის წევრებისთვის (სხვადასხვა სფეროებში), კონკრეტულად:

- Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>) - Humanities and Social Sciences კემბრიჯის ონლაინ ჟურნალები –ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები. მონაცემთა ბაზა მოიცავს:
- e-Duke Journals Scholarly Collection <https://www.dukeupress.edu/> დიუკის სამეცნიერო ჟურნალების ონლაინ კრებული
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com>); ედვარდ ელგარის გამომცემლობის ჟურნალები და განვითარების მეცნიერებების ელექტრონული წიგნები
- IMechE Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE>) -IMechE ჟურნალები– მექანიკური ინჟინერია (გამომცემლობა SAGE);
- SAGE Journals (<https://journals.sagepub.com>);
- Openedition Journals (<https://www.openedition.org/> Openedition -ის ჟურნალები
- ACM Digital Library (<https://dl.acm.org/> - ACM ციფრული ბიბლიოთეკა

- აგრეთვე:
- HEINONLINE სამართლის მონაცემთა ბაზა: <https://heinonline.org/HOL/Welcome> (დისტანციური წვდომის სერვისის უზრუნველყოფა);
- სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა: library.court.ge;
- Elsevier-ს მონაცემთა ბაზები:
- ScienceDirect® ონლაინ: <http://www.sciencedirect.com>
- Scopus® ონლაინ: <https://www.scopus.com>
- NCEQE-ს მონაცემთა ბაზები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ციფრული რესურსები და საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები. ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაეცნონ დარგის უახლეს სამეცნიერო მიღწევებს და გავიდნენ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე;

გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. ადგილზე გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ იციან ამ რესურსების ხელმისაწვდომობის შესახე და და თუ როგორ გამოიყენონ ისინი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ი მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული დოკუმენტები
- ი დაწესებულების ვებ-გვერდი
- ი ბიბლიოთეკის რესურსები, კატალოგი და ვებ-გვერდი
- ი ინფორმაცია ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზების შესახებ
- ი თვითშეფასების ანგარიში
- ი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- ი გასაუბრება მმართველ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილებებთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია ბიბლიოთეკის რესურსების შემდგომი გამდიდრება და სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა არსებული ელექტრონული პლატფორმების შესახებ.

- სასურველია გაფართოვდეს წიგნადი ფონდი როგორც ფიზიკური, ისე ელექტრონული ფორმატით (საჯარო მმართველობისა და ბიზნესის მიმართულებებით).

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაციები: არცერთი

რჩევები: არცერთი

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაციები: არცერთი

რჩევები: არცერთი

პროგრამა 3 (საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა);

რეკომენდაციები: არცერთი

რჩევები: არცერთი

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
--	---	---	---	---

X

□

□

□

პროგრამა 1 (ბიზნესის
ადმინისტრირება,
საბაკალავრო

საგანმანათლებლო

პროგრამა)

X □ □ □

პროგრამა 2 (ბიზნესის
ადმინისტრირება,
სამაგისტრო
საგანმანათლებლო
პროგრამა)

X □ □ □

პროგრამა 3 (საჯარო
მმართველობის საბაკა
ლავრო საგანმანათლებ
ლო პროგრამა);

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფინანსური რესურსების განაწილება შეესაბამება პროგრამების საჭიროებებს. ფინანსურ მდგრადობას მხარს უჭერს უნივერსიტეტის ბიუჯეტი და მუდმივი ძალისხმევა დამატებითი დაფინანსების უზრუნველსაყოფად. ფინანსური სტანდარტის შემდგომი გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს ურთიერთობების დამყარება საერთაშორისო ინსტიტუციებთან და გამოიყენოს ეს კავშირები დაფინანსების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.

კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში, წარდგენილ დოკუმენტებს შორის შედის საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშების ფორმა. ეს ფორმა მოიცავს სხვადასხვა ხარჯებს, მათ შორის:

- კვლევისა და განვითარების საქმიანობისთვის გაწეული ხარჯები;
- მგზავრობის ხარჯები და სხვა.

თუმცა, დოკუმენტაციაში შედის მხოლოდ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი, სხვა პროგრამების ბიუჯეტები უბრალოდ გადატანილია საჯარო მმართველობის პროგრამიდან. ეს ნიშნავს, რომ წარმოდგენილი სამი პროგრამიდან მხოლოდ ერთი პროგრამის ბიუჯეტია ხელმისაწვდომი. ჩვენ მოვითხოვეთ პროგრამების ბიუჯეტის დეტალური განხილვა, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ მივიღეთ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, საბაკალავრო პროგრამა)

უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამის საპროგნოზო ფინანსური დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია პროგრამის ხარჯების განყოფილება. ამ დოკუმენტში მითითებულია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევისა და განვითარებისთვის გამოყოფილია ბიუჯეტი 10000 ლარის ოდენობით. მიგვაჩნია, რომ ფინანსური დოკუმენტის ეს ნაწილი უნდა გაიზარდოს, რათა უფრო მეტმა მასწავლებელმა მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, ტრენინგებსა თუ ვორქშოფებში და მეტმასწავლებელს მიეცეს შესაძლებლობა უნივერსიტეტისგან, რომ დაუფინანსდეს სხვადასხვა სტატიების გამოქვეყნება უცხოურ რეცენზირებად ჟურნალებში.

ადგილზე გასაუბრებისას გვაცნობეს, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის გარდა, უნივერსიტეტს აქვს ცალკე ბიუჯეტი კვლევის, გრანტებისა და აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის, რომელიც 180 000 ლარს შეადგენს. ჩვენ მოვითხოვეთ ამ ბიუჯეტის დეტალური განხილვა, რათა გვენახა ის სფეროები, რომლებსაც ის აფინანსებს ან დააფინანსა ბოლო წლებში. ასევე მოვითხოვეთ დეტალური ინფორმაცია ბიუჯეტში აკადემიური განვითარებისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ (180000). ეს დოკუმენტი მიუთითებს, რომ უნივერსიტეტს აქვს სოლიდური თანხა გრანტებისა და სხვა აქტივობების დასაფინანსებლად, რაც შეიძლება ძალიან დადებითად შეფასდეს. თუმცა, წინა საგრანტო ანგარიშიდან ვხედავთ, რომ არც ერთი საგრანტო პროექტი არ ეხებოდა საჯარო ადმინისტრირების ან ბიზნესის ადმინისტრირების გაუმჯობესებას. გრანტები მირითადად გაიცემა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტურიზმი, მეცნახეობა და ა.შ. აუცილებელია ისეთი საგრანტო პროგრამების გაძლიერება, რომლებიც ორიენტირებულია საჯარო ადმინისტრირებასა და ბიზნესზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o კლასტერის ბიუჯეტი
- o თვითშეფასების ანგარიში
- o გასაუბრება მმართველ პერსონალთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია საგრანტო პროგრამების გაძლიერება, რომლებიც ორიენტირებული იქნება საჯარო მმართველობასა და ბიზნესის ადმინისტრირებაზე.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო)

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, საბაკალავრო)

რეკომენდაციები: არცერთი

რჩევები: არცერთი

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტი ს/სკოლის ბიუჯეტი და	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობაშ ია	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია	არ არის შესაბამისობაშ ი
--	---	---------------------------------	-----------------------------------	-------------------------------

პროგრამის ფინანსური მდგრადობა	მოთხოვნებთა ნ	მოთხოვნებთა ნ	მოთხოვნებთა ნ
პროგრამა 1 (დასახელება, დონე)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (დასახელება, დონე)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (დასახელება, დონე)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	მეტწილადშესა ბამისობაშია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
პროგრამა 1 (დასახელება, დონე)	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (დასახელება, დონე)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (დასახელება, დონე)	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები (https://tesau.edu.ge/files/uploads/4/9/1/Internal_Evaluation_Mechanisms_for_Quality_Assurance.pdf). საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობდა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან და ითვალისწინებდა ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს. პროგრამის შემუშავების პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართული იყვნენ სხვა დაინტერესებული მხარეები, როგორიცაა პოტენციური დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და შესაბამისი პროგრამების სტუდენტები.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შესამუშავებლად შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ატარებდა შეხვედრებს და განიხილავდა პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროგრამები შემუშავდა გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით. თვითშეფასების ჯგუფის თითოეული წევრი ზრუნავდა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე. სამუშაო პროცესში განხორციელდა პროგრამების შიდა შეფასება, პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ, ასევე გარე შეფასება დამსაქმებლებისა და უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო უკუკავშირი შიდა და გარე შეფასებებიდან.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს (PDCA) ციკლის პრინციპების – „დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება, მოქმედება“ – საფუძველზე. ხარისხის უზრუნველყოფა უწყვეტი პროცესია და მასში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უნივერსიტეტი შეიმუშავებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს (<https://tesau.edu.ge/universitetis-strategiuli-ganvitarebis-gegma>), ასევე განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წლიურ ანგარიშებს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აღწერს უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ჩართულ ყველა ელემენტს. ეს უნივერსიტეტის მართვის პროცესის განუყოფელი ნაწილია: დაგეგმვა, ორგანიზება და მონიტორინგი. სისტემა მუშაობს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში და ეფუძნება იმ ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლებიც წარმართავს უნივერსიტეტს მის ფუნქციონირებაში.

ზოგადად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეწევა ფაკულტეტის საკონსულტაციო საქმიანობას, რათა განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილება მჭიდროდ თანამშრომლობს პერსონალის ყველა სეგმენტთან ინტენსიური კონსულტაციებისა და ტრენინგების გაწევით ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და ხარისხის კულტურის შესახებ.

ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, უნივერსიტეტი მიიღო უნივერსიტეტის ელექტრონული სერვისებით სარგებლობის

დებულება (<https://tesau.edu.ge/iuridiuli-cnobari/debulebebi1>) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ადაპტაციის უზრუნველსაყოფად დისტანციური/ელექტრონული/ჰიბრიდული სასწავლო პროცესისთვის. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მომენტში არ არსებობდა რაიმე დისტანციური/ჰიბრიდული სასწავლო პროცესი. უნივერსიტეტი უახლოეს მომავალში გეგმავს დისტანციური/ჰიბრიდული სასწავლო პროცესის განხორციელებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება <https://tesau.edu.ge/en/martvis-organoebi/debuleba10>
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები (https://tesau.edu.ge/files/uploads/4/9/1/Internal_Evaluation_Mechanisms_for_Quality_Assurance.pdf)
- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების შესახებ ინსტრუქცია
- პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობის და სტუდენტების მარგინალური კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია <https://tesau.edu.ge/en/martvis-organoebi/debulebebi>
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და საგამოცდო ცენტრის დებულება <https://tesau.edu.ge/en/martvis-organoebi/debulebebi>
- უნივერსიტეტის ელექტრონული სერვისებით სარგებლობის წესი <https://tesau.edu.ge/iuridiuli-cnobari/debulebebi1>
- შრომის ბაზრის ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება
- გადაწყვეტილება თვითშეფასების ჯგუფის შექმნის თაობაზე
- თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის და დამსაქმებელთა გამოკითხვები
- გასაუბრებები ვიზიტის დროს
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პრ ოგრამა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, საბაკა ლავრო საგანმანათლებ ლო პროგრამა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. ხარისხის გარე შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის
მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასების გარე მექანიზმებია ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის პროცესები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესახებ დებულებას.“

უნივერსიტეტი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს“ თვითშეფასების ანგარიშის სახით დადგენილი ვადების და ფორმების შესაბამისად. პროგრამაში ჩართული პერსონალი ითვალისწინებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში ექსპერტებისგანგაცემულ რეკომენდაციებს და პროგრამაში შეაქვს სათანადო ცვლილებები. პროგრამებში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამაში ჩართული პერსონალი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლევლო პროგრამა (180 ECTS) ახალი პროგრამაა. იგი შეაფასა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (საქართველო) ადგილობრივმა ექსპერტმა. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამა შეუდარდა ბიზნესის ადმინისტრირების ეროვნულ დარგობრივ მახასიათებლებს/ბენჩმარკინგის დოკუმენტს. უნივერსიტეტს აქვს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განხორციელების გამოცდილება (240 ECTS), რომლის აკრედიტაცია მოხდა 2012 წლის 12 მარტს.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (120 ECTS) მისი ამჟამინდელი შემადგენლობით ახალი პროგრამაა. იგი შეაფასა ადგილობრივმა ექსპერტმა პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტიდან (საქართველო). გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამა შეუდარდა ბიზნესის ადმინისტრირების ეროვნულ დარგობრივ მახასიათებლებს/ბენჩმარკინგის დოკუმენტს. უნივერსიტეტს აქვს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განხორციელების გამოცდილება, რომელმაც აკრედიტაცია გაიარა 2012 წლის 2 აგვისტოს.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა (240 ECTS) მისი ამჟამინდელი შემადგენლობით ახალი პროგრამაა. იგი შეაფასა ადგილობრივმა ექსპერტმა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (საქართველო). გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამა შედარდა საჯარო ადმინისტრაციის ეროვნული დარგობრივი მახასიათებლების/ბენჩმარკინგის დოკუმენტთან. უნივერსიტეტს აქვს საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების გამოცდილება, რომლის აკრედიტაცია მოხდა 2011 წლის 18 ნოემბერს.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის პერიოდული გარე შეფასება ხორციელდება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით. მხედველობაში იქნა მიღებული დარგის პროფესიონალების, პარტნიორების და სხვა დაინტერესებული მხარეების, როგორიცაა კურსდამთავრებულები, გამოკითხვის შედეგები. ასევე გათვალისწინებული იქნა დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზის შედეგებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების მექანიზმები

- შრომის ბაზრის ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასებები პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი ინტიტუტების ადგილობრივი ექსპერტების მიერ
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის და დამსაქმებელთა გამოკითხვები
- გასაუბრებები ვიზიტის დროს
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტან

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთა ნ	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთა ნ
---------------------------------------	---------------------------------	--	--	--

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, საბაკა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილება პერიოდულად აკონტროლებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხარისხს. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები შესაძლო ცვლილებების განსახორციელებალდ, ასევე დასკვნები საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნული პროცესის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ამოწმებს ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს (მათ შორის სახელმძღვანელოებსა და სხვა სასწავლო მასალას, მათ ფიზიკურ მდგომარეობას, რაოდენობას და სილაბუსებთან შესაბამისობას).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს გამოკითხვებს სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის, პერსონალისთვის და დამსაქმებლებისთვის, რათა მიიღოს გამოხმაურება ყველა დაინტერესებული მხარისგან და უზრუნველყოს სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხი. ასევე ანალიზებს კლასში დაკვირვების შედეგებს. გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და ინსტრუქციებს სწავლების ხარისხის ამაღლებისა და პროგრამების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. ასევე ანალიზს უკეთებს დარგის სპეციალისტების მოსაზრებებს და რეკომენდაციებს და არსებულ პროგრამებს უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან ადარებს.

უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, გამოკითხვებს ძირითადი (სავალდებულო) სასწავლო კურსების შესაფასებლად ყოველი სემესტრის ბოლოს.

ასეთი კომპლექსური ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეფექტურობას და პროგრამის პერსონალს სთავაზობს რეკომენდაციებსა და რჩევებს საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის.

პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ფარგლებში, დაწესებულება ასევე აფასებს პროგრამის დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს დოკუმენტი არის თავად პროგრამის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი. ეს არის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის არაპირდაპირი შეფასება. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული შედეგის შეფასების პირდაპირი მეთოდით, რომელიც არ არის რეკომენდებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს მიხედვით.

<https://eqe.ge/res/docs/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AB%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A2%E1%83%99%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98.pdf>. პროგრამის ხელმძღვანელებთან და დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგით პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმი მომავალში სრულად ამოქმედდება. პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად უნდა გამოიყენოს პირდაპირი შეფასების მეთოდი, მესამე დონის (გამლიერების დონე) სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტი/აქტივობა, რომელიც პირდაპირ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

იხილეთ კლასტერული შეფასება 5.3-ში. ამასთან, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ინდივიდუალურ კურსებში შეფასების სისტემა საკმაოდ რთულია, მაგალითად, სამეწარმეო იდეის პრეზენტაციის შეფასება სასწავლო კურსში „მეწარმეობა“. სილაბუსით და ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ ჯგუფური პროექტის წარდგენა. სილაბუსში არ წერია და პერსონალის პასუხიც ბუნდოვანი იყო, თუ როგორ განისაზღვრება სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი.

პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სასწავლო კურსების შეფასების რუბრიკაში მითითებული იყოს, თუ როგორ ფასდება სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი ჯგუფური პროექტის შემთხვევაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა)

იხილეთ კლასტერული შეფასება 5.3-ში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ მასალებზე და ადგილზე ვიზიტის დროს გამართულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა მტკიცებულება იმისა, რომ უნივერსიტეტი ატარებს მაგისტრანტთა გამოკითხვებს, სადაც მათ შეუძლიათ ანონიმურად შეაფასონ პროგრამის კვლევითი კომპონენტების განხორციელების პროცესი და შეაფასონ თავიანთი სამაგისტრო ნამრომის სამეცნიერო ხელმძღვანელები. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევებს, ასევე გამოკითხვებს ძირითადი (სავალდებულო) სასწავლო კურსების და პერსონალის სასწავლო და კვლევით საქმიანობის შესაფასებლად ყოველი სემესტრის ბოლოს, ასეთი კითხვარები არ შეიცავს კითხვებს რესპონდენტებისთვის, რომლის საშუალებითაც მათ შეეძლებათ მიიღონ უკუკავშირი პროგრამის კვლევის კომპონენტის განხორციელების შესახებ. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მაგისტრანტებმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება და სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, საბაკალავრო პროგრამა)

იხილეთ კლასტერული შეფასება 5.3-ში. ამასთან, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში პრობლემურია შეფასების სისტემა ინდივიდუალურ კურსებისთვის, მაგალითად, სამეწარმეო იდეის პრეზენტაციის შეფასება სასწავლო კურსში „მეწარმეობა“. სილაბუსით და ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ ჯგუფური პროექტის წარდგენა. სილაბუსში არ წერია და პერსონალის პასუხიც ბუნდოვანი იყო, თუ როგორ განისაზღვრება სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი.

პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს, რომ სასწავლო კურსების შეფასების რებრიკაში მითითებული იყოს, თუ როგორ ფასდება სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი ჯგუფური პროექტის შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლაგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- უნივერსიტეტის წესდება <https://tesau.edu.ge/iuridiuli-cnobari/tsesdeba>
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება <https://tesau.edu.ge/en/martvis-organoebi/debuleba10>
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები (https://tesau.edu.ge/files/uploads/4/9/1/Internal_Evaluation_Mechanisms_for_Quality_Assurance.pdf)
- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების შესახებ ინსტრუქცია
- პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობის და სტუდენტების მარგინალური კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია <https://tesau.edu.ge/en/martvis-organoebi/debulebebi>
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და საგამოცდო ცენტრის დებულება <https://tesau.edu.ge/en/martvis-organoebi/debulebebi>
- უნივერსიტეტის ელექტრონული სერვისებით სარგებლობის წესი <https://tesau.edu.ge/iuridiuli-cnobari/debulebebi1>

- შრომის ბაზრის ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
- ლის შედეგების შეფასების შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება
- გადაწყვეტილება თვითშეფასების ჯგუფის შექმნის თაობაზე
- თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- ანალიგიურ ადგილობრივ და უცხოური საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარების/ბენჩმარკინგის დოკუმენტი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის და დამსაქმებელთა გამოკითხვები
- გასაუბრებები ვიზიტის დროს
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უშუალო შეფასებად გამოიყენოს კონკრეტული შეფასების კომპონენტი/აქტივობა მესამე დონის (გამყარების დონე) სასწავლო კურსებიდან, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგებს.
- შეფასება და მონიტორინგი: რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა გაუმჯობესოს შეფასების ინსტრუმენტები, განსაკუთრებით შემდეგი მიმართულებებით: 1) მიღწეული სწავლის შედეგები და 2) კვლევა. რაც შეეხება ამ უკანასკნელ სფეროს, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ თესაუ-ს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა სტანდარტზე დაბალია, რაც უარყოფითად აისახება თესაუ-ს, როგორც უმაღლესი განათლებისა და კვლევითი დაწესებულების რეპუტაციაზე, ასევე სასწავლო შინაარსისა და გამოცდილების ხარისხზე. ამ ფონზე, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს ფინანსურად მიმზიდველი კვლევითი წახალისების სისტემის დანერგვას, რაც აკადემიურ პერსონალს მოტივაციას მისცემს ჩაერთოს სამეცნიერო კვლევებში, ნაცვლად იმისა, რომ ცდილობდეს მოიძიოს დამატებითი სამსახური სხვა უნივერსიტეტში სწავლებით, ზოგადად დაბალი ხელფასის შევსების მიზნით.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

რეკომენდაციები:

პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება (საბაკალავრო პროგრამა)

- რეკომენდებულია პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სასწავლო კურსების შეფასების რუბრიკაში უზრუნველყოს მითითება თუ როგორ ხდება ჯგუფური პროექტის შემთხვევაში სტუდენტის ინდივიდუალური წვლილის შეფასება.

პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება (სამაგისტრო პროგრამა)

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მაგისტრანტების მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის და სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელების შეფასება.

პროგრამა 3 საჯარო მმართველობა (საბაკალავრო პროგრამა)

- რეკომენდებულია პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სასწავლო კურსების შეფასების რუბრიკაში უზრუნველყოს მითითება თუ როგორ ხდება ჯგუფური პროექტის შემთხვევაში სტუდენტის ინდივიდუალური წვლილის შეფასება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
--	---	---	---	---

პროგრამა 1 (ბიზნესის
ადმინისტრირება,
საბაკალავრო
საგანმანათლებლო
პროგრამა)

პროგრამა 2 (ბიზნესის
ადმინისტრირება,
სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგ
რამა)

პროგრამა 3 (საჯარო
მმართველობა, საბაკალავ
რო საგანმანათლებლო პრ
ოგრამა)

X

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობა შია მოთხოვნებთა ნ	მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგ რამა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, საბაკალა ვრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტები:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება ბიზნესის ადმინისტრირებაში
(საფეხურები: ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) და საჯარო ადმინისტრირება
(ბაკალავრიატი)

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაში და მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში და მოთხოვნებთან	შესაბამისობაში და მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში და მოთხოვნებთან	შესაბამისობაში და მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაში და მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში და მოთხოვნებთან	შესაბამისობაში და მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში და მოთხოვნებთან	შესაბამისობაში და მოთხოვნებთან
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაში და მოთხოვნებთან	შესაბამისობაში და მოთხოვნებთან	შესაბამისობაში და მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში და მოთხოვნებთან	შესაბამისობაში და მოთხოვნებთან